

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სლავური ფილოლოგია

ანა კონდრატენკო

**კონცეპტი «სიკვდილი» რუსი და პოლონელი სიმბოლისტების პოეტიკაში
(დიაქრონიული ანალიზი)**

ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად
წარმოდგენილი დისერტაცია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: **მარია ფილინა**
ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი,
ივ. ჯავახიშვილის სახ. თსუ ფროფესორი

თბილისი

2019

აბსტრაქტი

ნაშრომი მიმართულია კონცეპტი „სიკვდილის“ გახსნისკენ, თუმცა მოცემული კვლევის საფუძველი არის არა ლინგვოკოგნიტური, არამედ ლიტერატურათმცოდნეური და ლინგვოკულტურული მიდგომა.

ნაშრომში განიხილება კონცეპტი „სიკვდილის“ სხვადასხვა მხარეები, მისი ევოლუცია ზუსტად ლიტერატურათმცოდნეობის ქრილში, ამასთან დავეყრდნობით როგორც ენობრივ ასევე ისტორიულ კონტექსტს.

ჩვენ ასევე განვიხილავთ მოცემულ კონცეპტს კულტუროლოგიური კუთხით.

კონცეპტი „სიკვდილის“ კულტუროლოგიური კუთხით განხილვის აუცილებლობა გამოწვეულია იმით, რომ ჩვენს კვლევაში საკვანძო როლს ასრულებს დიაქრონული ანალიზის კონტექსტი, რომლის მეშვეობითაც ვაპირებთ დავინახოთ კონცეპტი „სიკვდილის“ ცვალებადობა და ევოლუცია, ძველი სლავების წარმართული ეპოქიდან რუსული სიმბოლიზმის აღორძინების პერიოდამდე (XIX საუკუნის ბოლო - XX საუკუნის დასაწყისი).

ამ კვლევის მიზანია დამტკიცდეს, რომ კონცეპტი „სიკვდილის“ («смерть») წყარო რუსი სიმბოლისტი პოეტების ლირიკაში არის სლავური წინაქრისტიანული რწმენების სიკვდილის ღვთაება - მარენა.

ამ კვლევის განსაკუთრებულობა არის ის, რომ ძირითადად არ ხდება ტექსტის ტექსტთან შედარება. ანალიზს ექვემდებარება სვალი და ბალტიის ხალხების ფართო ფოლკლორული მასალა, შემდეგ კი ის ედრება პოეტი სიმბოლისტების შემოქმედებას, რათა გამოაშკარავდეს მსგავსება და შესაძლო გავლენა.

კონცეპტი „სიკვდილის“ არჩევა ჩვენი კვლევის ამოსავალ წერტილად არ არის შემთხვევითი. სიკვდილის გამოსახულება და მოტივი, ლექსემა „სიკვდილი“ და მსგავსი, ჩვენი შეხედულებით არ ასახავს კვლევის საგნის მრავალმხრივობას.

თანამედროვეობაში მიღებული კონცეპტის მნიშვნელობა ძალიან ტევადი, მრავალმხრივი და რაღაც მხრივ ყოვლისმომცველი ხასიათისაა და სწორედ ამით არის განპირობებული ჩვენი არჩევანი.

მოცემული კვლევის მასალა გახდა: ზოგიერთი სლავური (რუსი, უკრაინელი, ბელორუსი, პოლონელი, ჩეხი, სლოვაკი, ბულგარელი და სხვ.) და ბალტიის ხალხის ფოლკლორული და ეთნოგრაფიული მასალა, რუსი სიმბოლისტი პოეტების ლექსები (ვ. ბრიუსოვის, კ. ბალმონტის, ზ. გიპიუსის, ნ. გუმილიოვის, ა. ბლოკის, ა. ბელის, ფ. სოლოგუბის, ი. ერენბურგის, ე. კუზმინა-კარავაევას, ი. ანენსკის და სხვ.) ზოგიერთი სიმბოლისტი მხატვრის ნახატები (იაცეკ მალჩევსკის, ჰიუგო სიმბერგის).

აქედან გამომდინარე, ჩვენი ნაშრომი ინტერდისციპლინარულია თავისი არსითა და ამოცანით. პირველად მსგავს კვლევაში ხდება შედარება სლავური წინაქრისტიანული რწმენის სიკვდილის შესახებ და ამავე კონცეპტის ლიტერატურაში. სწორედ ამ მიდგომით ხდება შესაძლებელია კონცეპტი „სიკვდილის” დანახვა მოულოდნელი მხრიდან, რადგან ამ კვლევაში ყურადღება ექცევა სლავური კულტურის უღრმეს ისტორიულ ფენებს და საშუალებას გვაძლევს ვიპოვოთ მათი ანარეკლი სიმბოლისტი პოეტების შემოქმედებაში, რაც ბევრგან უფრო ნათელს ხდის რიგ საკითხებს სიმბოლიზმში კონცეპტი „სიკვდილის” შესახებ, რომლებიც აქამდე ბურუსით იყო მოცული.

Abstract

The present work is aimed at revealing the concept of "death", however, the basis of this study is not cognitive, and literary, and linguistic and cultural approaches.

The paper discusses various aspects of the concept "death", its evolution in the literary vein, we consider how language and historical context. This concept will also be explored in a cultural way.

The need to address the concept of "death" in a culturological key due to the fact that in our study the key role played by the context of diachronic analysis, through which we intend to monitor the variability and evolution of the concept of "death", since the era of paganism ancient Slavs to the heyday of Russian symbolism (the end of XIX - beginning of XX century).

The aim of this work is the proof that the concept of "death" and its embodiment in the lyrics of Russian poets symbolists goes back to the Slavic pre-Christian beliefs about the deity of death – Marena's.

The peculiarity of this research is the fact that basically is not compared text with text that is customary in most literary works. The analysis is extensive folklore material of the Slavic peoples and the peoples of the Baltic States, and further it relates to the work of poets from the symbolists to identify matches, mates, and potential impact.

The choice of the concept "death" as a starting point of our research is not accidental. The image of death, the motif of death, the token "death", etc. in our opinion do not reflect the multidimensionality of the object of study. The concept of the concept adopted in modern times - capacious, multi-dimensional and in a sense is comprehensive, which makes our conceptual solution.

The material of this study became folklore and ethnographic material, some of the Slavic (Russian, Ukrainian, Belarusian, Polish, Czech, Slovak, Bulgarian etc.) and the Baltic peoples, the poems of Russian poets symbolists (V. Bryusov, K. Balmont, Zinaida Gippius, N. Gumilev, A.

Blok, A. Bely, F. Sologub, I. Ehrenburg, E. Kuzmina-Karavaeva, I. Annensky and some others), paintings of some artists symbolists (Jacek palchevskogo, Hugo Simberg). Thus, our work is interdisciplinary at its core and task.

For the first time in this research is the comparison of the Slavic pre-Christian beliefs about death with literary reflection of the same concept. According to our assertion, that through this approach it becomes possible to disclose the concept of "death" is unexpected, since this study is restricted to the deepest layers of history of Slavic culture and allows you to find their reflection in the works of poets of the symbolists that, in many ways sheds light on a number of issues about the concept of "death" in symbolism, which still was not lit.

სარჩევი

შესავალი	9
სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა.....	18
კვლევის მეთოდოლოგია	21
თავი 1 სიკვდილის კონცეპტი ფოლკლორულ-ეთნოგრაფიულ მასალაში (სლავური წინაქრისტიანული რწმენები ღვთაება მორენას შესახებ)	23
1.1 ზოგიერთი სლავი ხალხის მითოლოგიური პერსონაჟები, რომლებიც საწყისს იღებენ მარენასგან	23
1.2 სლავური სიკვდილის ქალღმერთების სახელების ვარიანტულობა	32
1.3 მარენას/მარას მოხსენიება ისტორიულ წყაროებში	36
1.4 ქალღმერთი მარენას ჰიპოსტასი და იერსახე	41
1.5 შავი და თეთრი ფერი მარენას იერსახეში.....	48
1.6 სიკვდილის ქალღმერთის იერსახის დეტალები (წარმოდგენა სახის, თვალების, თმების შესახებ)	52
1.7 ერთი ქალღმერთის ორი საპირისპირო, მაგრამ ტოლფასი ჰიპოსტასი: „მშვენიერი ქალწული სრული მკერდით” - „შემაშინებელი გამხდარი დედაბერი”.....	57
1.8 სიკვდილი პატარძლის სახით. სიკვდილის სამოსის ვარიანტულობა.....	65
1.9 სიკვდილის „ცეკვა”	71
თავი 2 სიკვდილის ატრიბუტიკა	75
2.1 ცელი - სიკვდილის მთავარი იარაღი	75
2.2 ნამგალი, როგორც სიკვდილის ოდინდელი ატრიბუტი	86
2.3 თავშალი - სიკვდილის მაუწყებელი ატრიბუტი	94
2.4 თასი შხამით, როგორც სიკვდილის ატრიბუტი. სიკვდილი-მომწამვლელი	97
2.5. ტოტები/წკეპლები სიკვდილის ხელში	102
2.6 „მუსიკა”, როგორც სიკვდილის ატრიბუტი	106
2.7. გასაღები, როგორც სიკვდილის სამყაროზე ძალაუფლების სიმბოლო	109
2.8. ჯადოქრობა, როგორც სიკვდილის განუყოფელი ატრიბუტი	115

თავი 3. სლავური წინარექრისტიანული წარმოდგენების ასახვა

სიკვდილის ქალღმერთი მარენას შესახებ პოეტი სიმბოლისტების ლირიკაში ...	127
3.1. კონცეპტი „სიკვდილის” აღქმის თავისებურებები სიმბოლიზმში	127
3.2. სიკვდილი - გაზაფხული, პატარძალი სიმბოლისტების ესთეტიკაში	133
3.3. სიკვდილის, ღამისა და ძილის ურთიერთკავშირი სიმბოლისტების ლირიკაში	147
3.4. სიკვდილის ცეკვა როგორც „მიწიერი გზის” დასასრულის ალეგორია პოეტი სიმბოლისტების ლირიკაში	157
3.5. „სიკვდილის ბალი” - სიკვდილი მომკალის, მეზადის სახით	160
3.6. სიკვდილი- ზამთარი	166
3.7. სიკვდილის „ფერად” განსახიერებათა ვარიატულობა	170
3.8. გასაღების სიმბოლიკა პოეტ-სიმბოლისტებთან	176
კვლევის შედეგები	181
დასკვნები და რეკომენდაციები	183
ბიბლიოგრაფია	185
დანართი	200
ნახ. 1 «ტანატოს», 1919 წელ. ავტორი: Jacek Malczewski	200
ნახ. 2 «ტანატოს», 1918 წელ. ავტორი: Jacek Malczewski	201
ნახ. 3 «სიკვდილი», 1917 წელ. ავტორი: Jacek Malczewski	202
ნახ. 4 «ავტოპორტრეტი სიკვდილთან», 1910 წელ. ავტორი: Jacek Malczewski ...	203
ნახ. 5 «ავტოპორტრეტი ტანატოსთან», ავტორი: Jacek Malczewski	204
ნახ. 6 «ავტოპორტრეტი მუზასთან», ავტორი: Jacek Malczewski	205
ნახ. 7 «მადონა», 1910 წელ. ავტორი: Jacek Malczewski	206
ნახ. 8 «მადონა», ავტორი: Jacek Malczewski	207
ნახ. 9 «წმინდა აგნეშკა», ავტორი: Jacek Malczewski	208

ნახ. 10	«ტანატოს III», 1898 წელ. ავტორი: Jacek Malczewski	209
ნახ. 11	«ტანატოს I», 1898 წელ. ავტორი: Jacek Malczewski	210
ნახ. 12	«სიკვდილი-მომკალი», 1910 წელ. ავტორი: Jacek Malczewski	211
ნახ. 13	«ცეკვა სანაპიროზე », 1899 წელ. ავტორი: Hugo Simberg	212
ნახ. 14	«სიკვდილის ბაღი», 1896 წელ. ავტორი: Hugo Simberg.....	213
ნახ. 15	სიკვდილი და მასხარა სიკვდილის დიდი ბაზელური ცეკვიდან. გრაფიურა. 1621	214
ნახ. 16	Михаэль Вольгемут. «სიკვდილის ცეკვა». 1493 წელ.	215

შესავალი

„სიცოცხლე“ და „სიკვდილი“, აპოკალიპტიკა - კაცობრიობის საკვანძო პრობლემებია და, ბუნებრივია, ისინი შეისწავლება უძველესი დროიდან, მეცნიერებისა და ლიტერატურის გაჩენიდან კი - ჰუმანიტარული მეცნიერების ყველა სფეროთი. სიკვდილი, რომელიც ყოფის ერთ-ერთი ძირითადი საფუძველია, იძენს პრინციპულ მნიშვნელობას ენაშიც, ისევე როგორც ლიტერატურასა და კულტურაში, რომლებიც ამა თუ იმ ხალხის მსოფლხედვის მატარებელი და დამცველია.

ფილოსოფია, ფსიქოლოგია, სოციოლოგია, ლიტერატურათმცოდნეობა, ლინგვისტიკა და სხვ. ცოდნის სფერო, სიკვდილის შესწავლისას, ხსნის მას სხვადასხვა მხრიდან, რაც ამ ფენომენის კვლევას ხდის უფრო ფართოს, ჭეშმარიტების ძიება და მისი შეცნობის შეუძლებლობა მკვლევართა და შემოქმედთა ყოველ თაობას აქეზებს, რომ აღმოაჩინონ სიცოცხლისა და სიკვდილის საიდუმლოების ახალი პერსპექტივები.

როგორც წარსულის, ისე თანამედროვეობის ბევრი მოაზროვნე, სიკვდილის ფენომენის შესწავლასა და მისთვის ყოფის ბუნებაში ადგილის მიჩენას ბევრ დროს უთმობდა. ამ პრობლემის საფუძვლიან კვლევებში დიდი წვლილი მიუძღვის წარსულის ფილოსოფოსებს (პლატონი, ავგუსტინე, ს. კერკეგორი, ა. შოპენჰაუერი, ფ. ნიცშე, ო. შპენგლერი, ზ. ფროიდი, მ. ჰაიდეგერი, ს. ბულგაკოვი, ლ. კარსავინი და სხვ.). დიდ ინტერესს იწვევს აგრეთვე თანამედროვე კვლევებიც, რომელიც ანალიზებს სიკვდილს თანამედროვე სოციოკულტურულ სიტუაციაში (უცხოელი თეორეტიკოსების ნაშრომები: ფ. არიესის, ჟ. ბოდიარის, მ. ვოველის, მ.ფუკოს და სხვ.; რუსი ფილოზოფების ნაშრომები: მ. მამარდაშვილი, პ. გურევიჩის, ვ. პოდოროვის და სხვ.).

ნიცშე-შოპენჰაუერის იდეა, რომელიც ამტკიცებს სიკვდილის სიცოცხლეზე უპირატესობას, XX საუკუნის ფილოსოფიური აზროვნების ამოსავალი წერტილია ამ საკითხში. მაგრამ ს. კერკეგორის ფილოსოფიამ ნათლად და პრინციპულად დააფუძნა სიკვდილი, როგორც ადამიანის ყოფის ონტოლოგიური საფუძველი.

კლასიკური ფილოსოფოსი ანეიტრალებს სიკვდილის მოქმედებას წმინდა და უწყვეტი აზროვნების პროცესის სფეროში და ამით ფაქტობრივად „უთმობს“ სიკვდილს

სიცოცხლის ტერიტორიას, სადაც ის იძენს უსაზღვრო უფლებამოსილებას. [Синицына 2001].

სიკვდილის თემა, უდავოდ, ყოფის ძირითადი პრობლემაა. არტურ შეპენჰაუერი თვლიდა, რომ ჩვენი სიცოცხლე მოიცავს ყველა საშინელებასა და ტრაგედიას, სიკვდილი კი ბადებს ფილოსოფიას.

მიწიერი სიცოცხლის დასასრულის არსებობა გვიბიძგებს ვიფიქროთ სიცოცხლის არსზე, ადამიანის დანიშნულებაზე და გვაიძულებს მოვძებნოთ პასუხი კითხვაზე - რა არის სიკვდილი? ნუთუ მართალია, რომ მხოლოდ ის გვაძლევს უმაღლესის შეცნობის საშუალებას, როგორც თვლიდა ბაირონის ლუციფერი. არის თუ არა მართალი, რომ ადამიანი ბევრჯერ მოევლინება დედამიწაზე განსხვავებული სახით? ეს და სხვა კითხვები დღესდღეობით ფართოდ განიხილება დასავლურ ლიტერატურაში და შესაბამისად სიკვდილი, როგორც ადამიანის ყოფის საიდუმლო, ძალიან აქტუალურია [О смерти и бессмертии 1991].

ჩვენი ნაშრომის სამეცნიერო ღირებულება და სიახლე განპირობებულია იმით, რომ პირველად მსგავს კვლევაში ხდება შედარება სლავური წინაქრისტიანული რწმენისა სიკვდილის შესახებ და ამავე კონცეპტის ლიტერატურაში. ჩვენი მტკიცებულების თანახმად, სწორედ ამ მიდგომით ხდება შესაძლებელია კონცეპტი „სიკვდილის“ დანახვა მოულოდნელი მხრიდან, რადგან ამ კვლევაში ყურადღება ექცევა სლავური კულტურის უღრმეს ისტორიულ ფენებს და საშუალებას გვაძლევს ვიპოვოთ მათი ანარეკლი სიმბოლისტი პოეტების შემოქმედებაში, რაც ბევრგან უფრო ნათელს ხდის რიგ საკითხებს სიმბოლიზმში კონცეპტი „სიკვდილის“ შესახებ, რომლებიც აქამდე ბურუსით იყო მოცული.

ამ კვლევის კიდევ ერთ თავისებურებას ის არის, რომ ძირითადად არ ხდება ტექსტის ტექსტთან შედარება. ანალიზს გადის სლავი და ასევე ბალტიისპირეთის ხალხების ფართო ფოლკლორული მასალა და შემდეგ ხდება მისი შედარება სიმბოლისტი პოეტების შემოქმედებასთან მსგავსებისა და შესაძლებელი გავლენის აღმოჩენის მიზნით.

კონცეპტი „სიკვდილის” არჩევა ჩვენი კვლევის ამოსავალ წერტილად არ არის შემთხვევითი. სიკვდილის გამოსახულება და მოტივი, ლექსემა „სიკვდილი” და მსგავსი, ჩვენი შეხედულებით არ ასახავს კვლევის საგნის მრავალმხრივობას. თანამედროვეობაში მიღებული კონცეპტის მნიშვნელობა ძალიან ტევადი, მრავალმხრივი და რაღაც მხრივი ყოვლისმომცველი ხასიათისაა და სწორედ ამით არის განპირობებული ჩვენი არჩევანი. იმისთვის რომ დავრწმუნდეთ ამაში, საკმარისია უფრო დაწვრილებით განვიხილოთ კონცეპტის მნიშვნელობის ბუნება. შეიძლება იმის დამტკიცება რომ დღესდღეობით ცნება „კონცეპტის” ერთიანი დეფინიცია არ არსებობს.

ს. ასკოლდოვი აყალიბებს კითხვას კონცეპტის ენობრივი გამოხატულების შესახებ და ასახელებს „ჩანაცვლების ფუნქციას” მის ყველაზე არსებით მნიშვნელობად. ის მიიჩნევს: „კონცეპტი არის აზრობრივი წარმონაქმნი, რომელი ანაცვლებს ფიქრის პროცესში ერთი და იგივე სახის ობიექტების განუსაზღვრელ რაოდენობას” [Аскольдов 2002]. ასევე ის აკეთებს დასკვნას იმის შესახებ, რომ კონცეპტი წარმოადგენს არა ჩანაცვლებადი სიმრავლის ანარეკლს, არამედ „მის გამომხატველ სიმბოლოს, რომელიც აღმოაჩენს მხოლოდ პოტენციალს შეასრულოს რაიმე”. შედეგად კონცეპტი იხსნება როგორც „აღმნიშვნელი შესაძლებლობა”, წინმსწრები სიმბოლური პროექცია, სიმბოლო, ნიშანი, პოტენციურად და დინამიურად მიმართული სფეროსკენ, რომელსაც ის ცვლის. დინამიურობა და სიმბოლიზმი სხვადასხვა მხრიდან გამოხატავენ კონცეპტის პოტენციურ ბუნებას [Зусман 2003]. ამიტომ, ს. ასკოლდოვის თანახმად, კონცეპტი სიმბოლურია, დინამიური, პოტენციური. შემოქმედით შექმნილი, კონცეპტები იზრდება, ვითარდება, გამეოეყოფა, მახინჯდება აღქმაში.

კონცეპტების შეერთება წარმოშობს მნიშვნელობას, თითოეული ელემენტის უმაღლეს მნიშვნელობას, რომელიც აღებულია ცალ-ცალკე. მიუხედავად იმისა, რომ ს. ასკოლდოვს პირდაპირ არ შემოაქვს სისტემის ცნება, სინამდვილეში ის ფიქრობს სწორედ მის შესახებ. მხატვრული კონცეპტების ჯაჭვები წარმოშობს სიმბოლურ საკომუნიკაციო სისტემებს, რომელიც ხასიათდება ღიაობით, პოტენციალით, დინამიურობით. ენის სივრცეში არსებობისას, ასეთი სისტემა თავისი არსით განსაზღვრავს მსოფლიოს ნაციონალური სურათის ხასიათს. [Зусман 2003].

დღევანდელ დღეს არსებობს მდიდარი ლინგვისტური ლიტერატურა, რომელიც ამჟღავნებს ამა თუ იმ კონცეპტს, რომელიც ეკუთვნის რუსულ კონცეპტოსფეროს. ამასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია განვსაზღვროთ კონცეპტოსფეროს ცნება.

ჯერ კიდევ აკადემიკოსი დ.ს. ლიხაჩოვი, ს.ა. ასკოლდოვის კონცეპტის გაგების შესახებ დასკვნებზე დაფუძნებით, ამტკიცებდა რომ ნაციონალური ენა - ეს არ არის მხოლოდ საკომუნიკაციო საშუალება, ნიშნობრივი სისტემა შეტყობინების გადასაცემად. „ენის კონცეპტოსფერო - ეს არის რუსული კულტურის კონცეპტოსფერო თავისი არსით, ნაციონალური ენა, კი, არის რუსული კულტურის „მოადგილე“ თავისი პოტენციალით“ [Лихачёв 1993]. რაც უფრო მდიდარია ერის კულტურა - მისი ლიტერატურა, ფოლკლორი, მეცნიერება, სახვითი ხელოვნება (მას ასევე უმალო კავშირი აქვს ენასთან, და შესაბამისად ნაციონალურ კონცეპტოსფეროსთან) ნაციონალური ენის კონცეპტოსფერო მით უფრო მდიდარია. ის უკავშირდება ერის ყველა ისტორიულ გამოცდილებას და განსაკუთრებით რელიგიას. [Лихачёв 1993].

ლ.ა. შესტაკი ამტკიცებს, რომ არსებობს თავდაპირველი კონცეპტები, რომელთაგან შემდეგ ვითარდება ყველა დანარჩენი. „მეტად არსებითი კონცეპტები აყალიბენენ თავად კონცეპტუალურ სივრცეს და მისი დაწვერიანების მთავარ სათაურებად წარმოდგებიან“ . კონცეპტუალური სისტემის მთავარი პარამეტრები არის აღქმის ობიექტი და მისი ნაწილები: ცვლილება (მოძრაობა და ქმედება ობიექტთან), ადგილი (სივრცე), მოძრაობაში ობიექტების დრო და მახასიათებლები [Шестак 2003: 17]. ჩვენ მიდრეკილი ვართ დავამტკიცოთ, რომ კონცეპტი „სიკვდილი“ რუსულ კონცეპტოსფეროში ეკუთვნის საწყის, უპირველეს კონცეპტს და ვცდილობთ დავასაბუთოთ ეს ჩვენს კვლევაში.

ნაშრომში გრძელდება კონცეპტი „სიკვდილის“ გამჟღავნება, თუმცა მოცემული კვლევის საფუძველი არა ლინგვოკოგნიტური, არამედ ლიტერატურათმცოდნეური და ლინგვოკულტურული მიდგომა გახდება. ჩვენ ვაპირებთ განვიხილოთ კონცეპტი სიკვდილის „გახსნა“, მისი ევოლუცია ზუსტად ლიტერატურათმცოდნეობის ჭრილში, ამავდროულად დავეყრდნობით როგორც ენობრივ, ისე კულტურულ სფეროს. ამასთან დაკავშირებით ჩვენი ნაშრომი გახდება ძალიან ტევადი და მრავალმხრივი, რაც გვადლევს საშუალებას განვიხილოთ საკვლევი ობიექტი არა ორი (ლიტერატურათმცოდნეობის და ლინგვისტური), არამედ სამი მხრიდან, რადგან ჩვენ

ვაპირებთ განვიხილოთ ის კულტუროლოგიურ ჭრილშიც. კონცეპტი „სიკვდილის“ განხილვის აუცილებლობა კულტუროლოგიურ ჭრილში აუცილებელი გახდა იმიტომ, რომ ჩვენს კვლევაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს დიაქრონული ანალიზის კონტექსტი, რისი საშუალებითაც ჩვენ ვაპირებთ ვიპოვოთ კონცეპტი „სიკვდილის“ ვარიანტულობისა და ევოლუციის კვალი ძველი სლავების წარმართული ეპოქიდან რუსული სიმბოლიზმის აღორძინების პერიოდამდე (XIX საუკუნის დასასრული - XX საუკუნის დასაწყისი).

მოცემული კვლევის მასალა გახდა: ზოგიერთი სლავური (რუსი, უკრაინელი, ბელორუსი, პოლონელი, ჩეხი, სლოვაკი, ბულგარელი და სხვ.) და ბალტიის ხალხის ფოლკლორული და ეთნოგრაფიული მასალა, რუსი სიმბოლისტი პოეტების ლექსები (ვ. ბრიუსოვის, კ.ბალმონტის, ზ. გიპიუსის, ნ. გუმილიოვის, ა. ბლოკის, ა. ბელის, ფ. სოლოგუბის, ი. ერენბურგის, ე. კუზმინა-კარავაევას, ი. ანენსკის და სხვ.) ზოგიერთი სიმბოლისტი მხატვრის ნახატები (იაცეკ მალჩევსკის, ჰიუგო სიმბერგის). აქედან გამომდინარე, ჩვენი ნაშრომი ინტერდისციპლინარულა თავისი არსითა და ამოცანით.

ეს კვლევა ჩავატარეთ შემდეგი ჰიპოთეზის დასამტკიცებლად: რუსი სიმბოლისტი პოეტების (ასევე ზოგიერთი სიმბოლისტი მხატვრის) შემოქმედებაში აღმოვაჩინეთ წარმართული რწმენის კვალი, კერძოდ კი, ის ნიშნები და თვისებები, რომელიც არსებობდა სლავური ხალხების წარმართულ რწმენებში ღვთაების შესახებ, იდენტიფიცირებული სიკვდილთან - მარენასთან, მაჟანასთან, მარასთან.

კვლევის მიზანია დავამტკიცოთ რომ კონცეპტი „სიკვდილის“ საწყისებს რუსი სიმბოლისტი პოეტების ლირიკაში წარმოადგენს სლავური წინაქრისტიანული რწმენები სიკვდილის ღვთაების - მარენას შესახებ.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ: დ.ს. ლიხაჩოვმა განსაზღვრა, რომ კონცეპტოსფერო შეესაბამება ერის ყველა ისტორიულ გამოცდილებას და რელიგიას განსაკუთრებით [Лихачёв 1993: 3–9]. ამასთან დაკავშირებით ჩვენს კვლევაში ვაპირებთ თვალყური ვადევნოთ კონცეპტი „სიკვდილის“ ევოლუციას ძველი სლავი ხალხების რწმენის ანალიზის დახმარებით.

მიუხედავად იმისა, რომ სლავი ხალხის ისტორიის აღნიშნულ პერიოდში არ არის საჭირო ერთიანი რელიგიის არსებობაზე საუბარი, რადგან ყველა სლავ ხალხს ჰქონდა წარმართული ღმერთების პანთეონი და ასევე ჰყავდათ მთავარი ღვთაება, ჩვენ ვფიქრობთ, რომ წარმართული რწმენა გარკვეული კუთხით შეიძლება განვიხილოთ როგორც რელიგია მისი გავლენის მნიშვნელობით სლავური კულტურის კონცეპტოსფეროს ჩამოყალიბებაზე, რაც წარმოადგენს დიდ ინტერესს ჰუმანიტარული მეცნიერების სხვადასხვა სფეროსთვის, განსაკუთრებით კი ამ კვლევისთვის.

ბ.ა. რიბაკოვი თავის ნაშრომში „ძველი სლავების წარმართობა“ წარმართულ რწმენას შემდეგ განმარტებას აძლევს: „სიტყვა „წარმართობის“ არასრულყოფილებისა და ბუნდოვნების მიუხედავად, რომელსაც დაკარგული აქვს სამეცნიერო ტერმინოლოგიური მნიშვნელობა, თუმცა არის ფართოდ პოლისემანტური, ვთვლი, რომ სავსებით დასაშვებია მისით იმ სადავო საკითხების აღნიშვნა, რომელიც შედის პირველყოფილი რელიგიის ცნებაში: მაგია, ანიმიზმი, პანდემონიზმი, პრამონტიზმი, დუალიზმი და ა.შ. მრავალგვარი კომპლექსი საკმაოდ შეესაბამება თავისი არსით მრავალფეროვან ტერმინს „წარმართობა“. საჭიროა მხოლოდ უარვყოთ მისი ვიწრო ეკლესიური გაგება და გვახსოვდეს, რომ ის სრულიად პირობითია.

„რა დონეზე არის დაშვებული სლავურ წარმართობაზე საუბარი? მისი გაგება შეიძლება როგორც იმ რელიგიური წარმოდგენების შეჯამება, რომელსაც მოუსწრო ქრისტიანობამ VI – X საუკუნეებში სლავურ მიწებზე, ასევე შეიძლება გავიგოთ როგორც ამ წარმოდგენებში რაღაც განსაკუთრებული, სლავური სპეციფიკის ძიება“ [Рыбаков 1980].

აქ ძველი სლავების მრავლობით და განსხვავებულ წარმოდგენებს შორის ღმერთებისა და სულების შესახებ ჩვენთვის საინტერესოა ისინი, რომლებიც შეესაბამება სიკვდილს ან არიან მისი განსახიერება. ჩვენ ვთვლით, რომ თვისებებისა და ნიშნების გამოკვლევა, რომლებითაც ხასიათდება აღნიშნული ღმერთები და სულები, შესაძლებელია ხელს უწყობდეს კონცეპტი „სიკვდილის“ გამჟღავნებას მოულოდნელი მხრიდან.

დ.ს. ლიხაჩოვი ფიქროვს, რომ „ენის შეგრძნება“ (ჩვენ კი ვიტყვით რუსული ენის კონცეპტოსფერო - ა.კ.) როგორც სულიერი სიმდიდრის, კულტურის მანიშნებელი ჯამში

უმალეს მის გამოვლინებაში იყო დამახასიათებელი რუსული ენის მიმართ ძალიან მგრძობიარე პოეტებისთვის” [Лихачёв 1993]. და მართლაც, პოეზია ყველა დროს წარმოადგენდა ხელოვნების, განსაკუთრებით კი ლიტერატურის ელიტარულ სფეროს, პოეტები კი იყვნენ წინასწარმეტყველები, მათთვის დამახასიათებელი ზემგრძობიარობისა და ყოფის სიღრმისეული აღქმის ხარჯზე, ხანდახან კი იმის გამოც რომ იყვნენ ზღვარს მიღმა. შემთხვევითი არაა, რომ პოეზიაში ერთ-ერთი ყველაზე მისტიური მიმართულება არის სიმბოლიზმი.

საინტერესოა, რომ ამ ლიტერატურული მიმართულებების დაწვრილებითი შესწავლის მიუხედავად კამათი მოდერნიზმისა და სიმბოლიზმის - როგორც მისი ყველაზე წინააღმდეგობრივი განშტოების შესახებ - ახლაც გრძელდება. ჩვენ არ გვაქვს პრეტენზია სიმბოლიური ესთეტიკისა და ფილოსოფიის დეტალური კვლევის, აღვნიშნავთ მხოლოდ ჩვენთვის მნიშვნელოვან მომენტებს. ჩვენი აზრით, ამის მიზეზი გახდა ის, რომ სიმბოლიზმი არის ერთ-ერთი ყველაზე ინდივიდუალისტური მიმართულება ხელოვნებაში, შესაბამისად მისი შეფასება სუბიექტურია. მ. ვოლოშინი ამტკიცებდა: „ინდივიდუალისტური ხელოვნების ყველა ნაწარმოებს ყოველთვის აქვს საფუძველი, რომელიც დევს მსოფლიო ხელოვნების ერთ-ერთ ლეგენდაში. ინდივიდუალიზმი შეიძლება შეიქმნას მხოლოდ ტრადიციის საფუძველზე, იმიტომ რომ ინდივიდუალისტური ხელოვნება შესაძლოა აღმოცენდეს მხოლოდ საკმაოდ განვითარებული სიმბოლიოებისა და გამოსახულებების ენის დროს.

მხატვრის სული უნდა ემორჩილებოდეს კანონს, იმიტომ, რომ კანონის მიღებისას ის უერთდება ხალხურ ხელოვნებას და ხსნის თავისი არაცნობიერის წყაროებს [Волошин 1906]. ზუსტად „არაცნობიერის წყაროების გახსნა” განპირობებულია იმ სიკვდილის უჩვეულო ნიშნებით, რომელთა ანარეკლს ჩვენ ვხვდებით პოეტი სიმბოლიისტების გამოსახულებებში.

სიმბოლიისტების მტკიცებით, ჩვენი მიწიერი სოცოცხლე არის გამოუვალი ტანჯვის უდაბნო, ობობების, ვამპირების და ა.შ. სამეფო. სამყარო შეუცნობელია თავისი არსით, მასში მცხოვრები ხალხი კი იმყოფება სიცრუის საკანში, სადაც ყმუიან, როგორც დატყვევებული ცხოველები. ჭეშმარიტ სიცოცხლეს სიმბოლიისტები ხედავენ ჩვენი ადამიანური სულის სიღრმეში, მის ექსტაზებში.

მაგრამ რადგან ოცნებები და წამი არ იძლეოდა დაკმაყოფილების საშუალებას, რადგან საბოლოო ჯამში მთელი ეს პოეზია იყო უზომოდ წინააღმდეგობრივი ადამიანების სულიერი ბოდიალი, განრიდებული სოცოცხლისა და ხალხისგან, შინაგანად დაცარიელებულების, რომლებიც თავდავიწყებას ილუზიებში ეძებდნენ, ამიტომ კანონზომიერია, რომ ისინი სიკვდილს ადიდებდნენ. რადგან სიკვდილი მათთვის სასურველი სიმშვიდეა, ერთადერთი საშუალება რომ გათავისუფლდნენ რეალობის კომმარისგან და საკუთარი მტანჯველი წინააღმდეგობისგან.

„თვით „სოლიდური“ მერექკოვსკიც, კი, რომელიც არის „მესამე რომის“, წარმართობისა და ქრისტიანობის „ცოცხალი“ შეერთების მქადაგებელი (ტრილოგია „ქრისტე და ანტიქრისტე“ და სხვ.), წერდა: «Смерть, пленяя красотой, обещает отдых упоительный», «Сердце чарует смерть неизреченной сладостью» და ა.შ. [Наумова 2012].

სიკვდილის იმავე გააზრებას როგორც აღდგომას გვაძლევს ზ. გიპიუსიც თავის ლექსში «Электричество», დადებითი და უარყოფითი მუხტების შეერთებას გვიხატავს, რომლებიც:

«Сплетенные

сольются,

И смерть их будет — свет».

ამგვარად ირკვევა სიკვდილის „ნეტარების“ მოტივის კავშირი ბედნიერების „წამიერ“ და ოცნების მოტივთან: ეს სამყაროა, რომელიც ეწინააღმდეგება ყოველდღიურ სინამდვილეს. სამყარო, სადაც სიმბოლისტები ეძებენ გამოსავალს საკუთარი პესიმიზმიდან მიწიერი სიცოცხლის - ციხის მიმართ. ზემოთქმულის შემდეგ არ არის გასაკვირი ფ. სოლოგუბის სიკვდილის ჰიმნი:

«О смерть! Я твой. Повсюду вижу
Одну тебя, - и ненавижу
Очарования земли.
Людские чужды мне восторги,
Сраженья, праздники и торги,
Весь этот шум земной пыли.
Твоей сестры несправедливой.

Ничтожной жизни, робкой,
лживой,
Отринул я издавна власть.
Не мне, обвеянному тайной
Твоей красы необычайной,
Не мне к ногам ее упасть...»

ამგვარად, ნათელია, რომ პოეტი სიმბოლისტების მიერ სიკვდილის აღქმა ძალიან განსხვავდება მისი ტრადიციული აღქმისგან, როგორც საბოლოო ხასიათის,

საშინელი, უკიდურესად ნეგატიური სინამდვილის. ჩვენი აზრით, ზუსტად ამ დისტანციის არარსებობამ, სიკვდილის შიშის დაძლევა მისცა სიმბოლისტებს საშუალება აღექვათ ეს ყოფითი მოვლენა ასეთი ძველი ხედვით, რომელიც ბევრ შემთხვევაში განსხვავდება ტრადიციული აღქმისგან. სიმბოლისტების სიმბოლო გახდა თავის მხრივ გამტარი თანამედროვეობასა და წინაქრისტიანული სლავური ხალხების ეპოქას შორის. ჩვენ აქცენტს ვაკეთებთ წინაქრისტიანულ პერიოდზე იმიტომ რომ, სიკვდილი ქრისტიანული მსოფლხედვის მიხედვით განსხვავდება იმ წარმოდგენებისგან, რომელსაც როგორც ჩვენ გთავაზობთ ჩვენს კვლევაში, ახასიათებდა ძველ სლავ ხალხს. ზოგჯერ რთული, შუამავალი გზით ისინი მყდვენდებოდა სიმბოლისტების, უპირველეს ყოვლისა პოეტების, მაგრამ ასევე მხატვრებისა და მუსიკოსების შემოქმედებაში.

კერძოდ, არსებული წარმოდგენებიდან ჩვენთვის მეტად საინტერესოა წარმოდგენები ღვთაებაზე, რომელიც პირდაპირ განასახიერებდა სიკვდილს.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ჩვენ ვამტკიცებთ, რომ ღვთაების თვისებები, რომელიც არის მარენად (მაჟანად, მარად და ა.შ.) წოდებული წარმოადგენს იმ განსახიერების საწყისებს, რომელიც ვლინდება სიმბოლისტების შემოქმედებაში და ამის მტკიცებულება არის მოცემული კვლევის ძირითადი ნაწილი.

სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა

რადგან ჩვენი ნაშრომი არის ინტერდისციპლინარული, ჩვენ მოგვიწია შეგვესწავა განსხვავებული მიმართულებების მქონე წყაროების დიდი რაოდენობა.

მათ შორის არის ლინგვისტური სახის წყაროები.

როგორც უკვე ითქვა, კონცეპტების შესწავლა ბოლო წლებში ლინგვისტიკაში ერთ-ერთი აქტუალური მიმართულებაა. ამას მოწმობს ჩვენს მიერ შესწავლილი თვით კონცეპტის ბუნების თეორიული კვლევები: «Развернутые тезисы о концептах» [Никитин 2004], «Концепт в системе гуманитарного знания. Понятие концепт» [Зусман 2003], «Языковой круг: личность, концепты, дискурс» [Карасик 2002], «Концептология: к становлению подхода» [Ляпин 1997], «Методы изучения концептов» [Крючкова 2004], «Межкультурная коммуникация» [Аскольдов 2002], «Методологические основания лингвоконцептологии» [Воркачев 2002], «Концепты. Тонкая пленка цивилизации» [Степанов 2007], «Поэтическая энергия слова. Синергетика языка, сознания и культуры» [Алефиренко 2002], «Типы концептов в лексико-фразеологической семантике языка, их личностная и национальная специфика» [Бабушкин 1997], «Концептосфера русского языка» [Лихачев 1993], «Язык и национальная картина мира» [Попова, Стернин 2007], «Когнитология и когнитивная лингвистика» [Рудакова 2004], «Лингвокультурные концепты прецедентных текстов в сознании и дискурсе» [Слышкин 2000] და სხვ.

მოცემული კვლევა ეძღვნება კონცეპტი „სიკვდილის“ გახსნას, რომელიც უკვე აღწერილია ნაშრომებში: «Концепт «Смерть» в русской языковой картине мира» [Осипова 2005], «Культурологический аспект развития семантики идиом поля «смерть» в современном русском языке (по результатам психолингвистического исследования) / Фразеология в контексте культуры» [Юминова 1999], «Концепты жизнь и смерть как фрагменты русской языковой картины мира» [Чернейко, Хо Сон Тэ 2001], «Концепты

жизнь и смерть в русском языке» [Хо Сон Тэ 2001], «Концепты жизнь и смерть в поэзии М.И. Цветаевой» [Дзюба 2001] და სხვ.

ზემოთხსენებული იყო ნაშრომები, რომელიც მეტად მნიშვნელოვანია ჩვენი კვლევისთვის, რომელთა შესწავლამ საშუალება მოგვცა გავცნობოდით ტენდენციებს და დღესდღეობით უკვე არსებულ გადაწყვეტილებებს, რომელიც გვაქვს ლინგვისტური მეცნიერების მხრიდან.

შემაჯამებლად ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ცნება „კონცეპტის“ ბუნებას დღესაც არ აქვს საყოველთაოდ მიღებული განმარტება, რაც საჭიროებს შემდგომ კვლევებს ამ მიმართულებით, კონცეპტი „სიკვდილის“ გახსნა კი, ისევ არ ხდება, რადგან, ჩვენი აზრით, ამ ამოცანის გადასაჭრელად საჭიროა ინტერდისციპლინარული მიდგომა.

კვლევის პროცესში ჩვენ გავეცანით მრავალ ლიტერატურათმცოდნეურ ნაშრომს სიმბოლიზმის შესახებ, რომელსაც აქვს ჩვენი კვლევის მსგავსი თემა, მათ შორის მეტად მნიშვნელოვანია: «Ключевые концепты поэзии И. Анненского» [Бабарыкова 2007], «Категория смерти в поэтическом языке З. Гиппиус» [Хитальский 2007], «Символизм как текст культуры в творческом сознании Анны Ахматовой» [Смирнова 2004], «Культурфилософия русского символизма: Теургия и Откровение» [Жукоцкая 2003], «Формирование представлений о смерти в художественной литературе [Каверина 2005], «Французский символизм в художественной и критической рецепции И.Ф. Анненского [Алехина 2014], «Концептуальная оппозиция «Жизнь – Смерть» в поэтическом дискурсе» [Пономарева 2008], «Ключевые концепты и их вербализация в аспекте регулятивности в поэтических текстах З. Гиппиус» [Яцуга 2006], «Поэзия символистов старшего поколения» [Наумова 2012] და სხვ.

ჩვენ შეგვიძლია დავადასტუროთ, რომ ამ ნაშრომების შესწავლამ საშუალება მოგვცა შეგვექმნა მაქსიმალურად ზუსტი წარმოდგენა იმ მიდგომების შესახებ, რომელიც აქტუალურია დღეს ლიტერატურათმცოდნეობაში კონცეპტი „სიკვდილის“ საკითხის მოგვარების ფარგლებში ამა თუ იმ მწერლისა და პოეტის შემოქმედებაზე დაყრდნობით.

კულტუროლოგიურმა მიდგომამ, რომელიც გადამწყვეტია ჩვენი კვლევისთვის, აუცილებელი გახდა შეგვესწავლა დიდი მოცულობის მასალა (სტატიები, პუბლიკაციები, მონოგრაფები და ა.შ) ფოლკლორში, ეთნოგრაფიასა და კულტუროლოგიაში რუსი, პოლონელი, ჩეხი, ბალტიისპირეთის (და სხვ.) ავტორების, მათ შორის: «Очерки весенней обрядности Полесья» [Агапкина 1995], «Этнографические связи календарных песен. Встреча весны в обрядах и фольклоре восточных славян» [Агапкина 2000], «Черный цвет в картине мира славянских народов» [Белова 2009], «Сон, смерть, судьба (наблюдения над праслав. *mora, *mara)» [Белетич-Лома 2013], «Круг жизни и смерти. Учение о переселении душ в культурах народов мира и славянской традиции» [Богумил 2013], «Фольклор как источник для реконструкции древней славянской духовной культуры» [Виноградова 1989], «Похоронні звичаї й обряди в селі Карлові, Снятинського пов.» [Онищук 1912], «Śmierć i pogrzeb w relacjach polaków mieszkających na Białorusi» [Adamowski 1998], «Mařena» [Bobek 1907], «Mitologia słowiańska i polska» [Bruckner 1985], «Pověry a obyčeje v Čechách a na Moravě» [Grohmann 2010] და ბევრი სხვა.

ზუსტად ამ ნაშრომების შესწავლამ მოგვცა საშუალება მოგვეძებნა მეტად მნიშვნელოვანი ჩვენი კვლევისთვის მტკიცებულება, რომ ბევრ სლავ ხალხში არსებობდა ესა თუ ის წარმოდგენა და რწმენა სიკვდილის ღვთაების შესახებ, რომლის ფესვები ჩადის შორეულ წარსულში, შეგვედგინა მაქსიმალურად სრული წარმოდგენა ამ რწმენების შესახებ და გამოგვევლინა საკვანძო მომენტები ჩვენი კვლევის, რამაც საბოლოო ჯამში ძველი სლავების სიკვდილის ღვთაების წარმოდგენების სისტემატიზების მცდელობის საშუალება მოგვცა.

კვლევის მეთოდოლოგია

რადგან ჩვენი ნაშრომი, როგორც უკვე ითქვა, არის ინტერდისციპლინარული - ანუ მოითხოვს როგორც ტექსტის შესწავლას, ასევე რწმენების, ლეგენდების, არყისხის სიგელიების, სლავი ხალხის წესების ტრადიციების, ასევე ფოლკლორული და ეთნოგრაფიული წყაროების მიმოხილვას, კვლევის მეთოდიკა უნდა იყოს კომპლექსური.

ჩვენ ვეყრდნობით ფილოსოფოსების, ფოლკლორისტების, კულტუროლოგების, ლინგვისტების, ლიტერატურათმცოდნეების შრომებს.

ნაშრომში გამოყენებულია დაკვირვების მეთოდები, კონცეპტი „სიკვდილის“ ტექსტური და ტექსტათორისი აზრობრივი ველების მოდელირება, ასოციაციური კავშირების, მრავლობითი, კონცეპტუალური, სემანტიკურ-სტილისტური, კონტექსტოლოგიური ანალიზი.

მოცემული კვლევის ძირითადი მეთოდი არის ისტორიულ-ლიტერატურული, კულტუროლოგიური და შედარებითი მეთოდები, რომლებიც გამოიყენება როგორც სუფთა სახით, ასევე სინთეტიკურად.

ისტორიულ - გენეტიკური მეთოდი ასევე გამოიყენება ჩვენს კვლევაში და საშუალებას გვაძლევს გამოვამჟღავნოთ ჩვენთვის საინტერესო ლიტერატურული მოვლენების წყაროები .

ასევე, ჩვენ გამოვიყენეთ სინესტეტიზმის პრინციპი - რომელიც საშუალებას გვაძლევს მივხვდეთ და შევძლოთ ლიტერატურული ტექსტის ინტერპრეტირება ხელოვნების სხვადასხვა სახეების ერთიან კონტექსტში. მოცემული მიდგომა ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენს ნაშრომში, რადგან პოეტი სიმბოლისტების პოეტური ტექსტების გარდა, ჩვენ ჩავატარეთ ზოგიერთი სიმბოლისტი მხატვრის ნაშრომის ანალიზი.

ძველი რწმენებისა და სიმბოლისტიკების ტექსტის დასაკავშირებლად ჩვენ ვატარებთ ექსპერიმენტებს, რომელიც საშუალებას გვაძლევს გამოვიტანოთ დასკვნები, რომლებსაც გააჩნია უტყუარობის განსხვავებული ხარისხი.

თავი 1

სიკვდილის კონცეპტი ფოლკლორულ-ეთნოგრაფიულ მასალაში

(სლავური წინაქრისტიანული რწმენები ღვთაება მორენას შესახებ)

1.1. ზოგიერთი სლავი ხალხის მითოლოგიური პერსონაჟები, რომლებიც საწყისს იღებენ მარენასგან

მოცემულ თავში ვრცელ ფოლკლორულ-ეთნოგრაფიულ მასალაზე დაყრდნობით ვაანალიზებთ ჩვენამდე მოღწეულ ცოდნას სლავი სიკვდილის ღვთაების შესახებ.

უპირველეს ყოვლისა - წარმოდგენები მისი გარეგნული იერსახის შესახებ, ღვთაებისთვის დამახასიათებელი ატრიბუტების, მარენასთან დაკავშირებული მფარველობის არეების („ფუნქციების“), მისი კულტის შესახებ და უფრო ნაკლებად, მითების შესახებ.

მოზიდულ ცნობებს აქვს განსხვავებული ხარისხი, მოცულობა და დაცულობა - წინაქრისტიანული მითების ნამსხვრევებიდან მარენას მონაწილეობით, სიკვდილის ღვთაების საკმობად შემცირებულ გამოსახულებამდე მითოლოგიური პერსონაჟების, ფრაზეოლოგიზმებში მოხსენიებიდან - დაავადებებსა და მცენარეებში მისი სახელის ანარეკლად. იმის გაგება, თუ როგორ აღიქვამდნენ სლავები მარენას კულტობრივად და „ყოველდღიურად“, შესაძლებელია მხოლოდ იმის მეთოდური კვლევის გზით, თუ როგორ აღწერდნენ ხალხური ტრადიციები სიკვდილის, ქოლერის/ჭირის, ზღაპრული ბაბა იაგას და ათეულობით სხვა მითიური პერსონაჟის პერსონიფიკაციის ფიგურებს, ხშირ შემთხვევაში - საშიშად და თითქმის ყოველთვის - სიკვდილის მომტანად.

ამ წარმოდგენების კორპუსი ჩვენი კვლევისთვის ძალიან საინტერესოა, რადგან შედეგად ჩვენ უნდა შევადაროთ სლავური სიკვდილის ღვთაების ძირითადი მახასიათებლები სიკვდილის იმ თვისებებსა და ნიშნებს, რომელსაც ჩვენ ვპოულობთ სიმბოლისტ პოეტებთან. ასევე საკმაოდ დიდი მოცულობით არის მოყვანილი პარალელები სხვა ტრადიციებიდან (პირველ რიგში - ინდოევროპულ ენათა ოჯახის ხალხების), რომელიც საშუალებას გვაძლევს ვისაუბროთ სხვადასხვა ხალხის მიერ სიკვდილის ღვთაების აღწერებში არქაულ კანონზომიერებებზე.

ჩვენი კვლევის მანძილზე წავაწყდით იმას, რომ მარენასთან იდენტურია ბევრი მითოლოგიური პერსონაჟი, რომლებიც განსხვავებულ საფეხურზე დგანან სიკვდილის ღვთაებათა იერარქიაში, მათ შორის ატარებენ მისი სახელის ვარიანტებს. თუმცა, მათ შორის უფრო მეტია ის, ვინც გადაიღო მარენას ფუნქციები, მისი იერსახე, ატრიბუტები, თუმცა დაკარგეს უშუალოდ ქალღმერთის სახელი. ამ დასკვნისკენ მიიწევდა ბევრი სხვადასხვა მკვლევარი, დაწყებული XIX საუკუნიდან.

ა.ა. პოტებნია თავის ნაშრომში „ზოგიერთი წესისა და თქმულების მითური მნიშვნელობის შესახებ“ ამტკიცებდა „ამგვარად, მასლენიცა წარმოგვიდგება დიდკბილა დედაკაცად, ბავშვებით გარემოცული, რაც მიუთითებს მის მსგავსებაზე იაგასთან. პოლკადნეი ბაბას ჩამარხვას მივყავართ მის მარენასთან მსგავსებამდე, რომელიც ასევე იმარხება“ [Потебня 1865: 110]. „ჩვენ ვუშვებთ, რომ ლურსმანკბილა (ბაბა რუგა, ბაბა კორიზმა, დედოფა ბაბა, პოკლადნია ბაბა და მასლენიცა - საწყისად არის ერთი სახე, გაიგივებული მარენასთან; საჭიროა ასევე მივიღოთ მარენას მითური მსგავსება /.../ იაგასთან“ [Потебня 1865: 111], „ერთ დროს მიტელმარკის (Mittelmark) სლავურ მიწებზე შობის შემდგომი პერიოდის (Zwölfen) დროს Fru-Harke(=ბერხტე, გოლდე) - ს მაგივრად დროდადრო ჩნდება Мирале. რადგან იქაც Мирале ნიშნავს Alpdrücken (მარა, ჩეხ. Myra, გერმ. die Mahr), die Mahr კი არის ბერხტასთან (გოძდასთან) კავშირში, და რადგან ჩეხეთში ზოგჯერ მართლაც ჩნდება მორანა, ამიტომ Мирале - არის იგივე, რაც მორანა, მორა, ბერხტა. მაგრამ ბერტა, დავძენთ, შეესაბამება იაგას; შესაბამისად, იაგა - მორანა“ [Потебня 1865: 120].

ფ. ბარტოში თვლიდა, რომ ჩეხურ გადაცემულ პერსონაჟში „მატიჩკაში“, ასევე ხანდახან წოდებული „სიკვდილად“ და „ღვთისმშობლად“, დაფარულია ქალღმერთი მარენას სახე: «Před sv. Mikulášem, dne 5. prosince večer, na Přerovsku chodila po domech ženská oblečená v bílý háv, tvář majíc zamoučenu, se srpem v ruce, jímž domácí, zvláště děti «stínala». Říkalo se jí Smrt anebo Boží Matka. /.../ Z uvedených příkladů patrno, že se v osobě této «Matičky» tají bohyně Morana našich pohanských předků» [Bartoš: 8-9].

კ. ეპბენი თავის 1883 წლის სტატიის ამბობს, რომ მორანა შეესაბამება ჩეხურ იაგოდე-ბაბას (ეჟიბაბას), და მოყავს მაგალითი, სადაც ბავშვები თხოვენ ახალ კბილს ამოვარდნილი კბილის სანაცვლოდ: ჩეხ. «Jahodo Bábo! Jahodo Bábo! // Tu máš zoubek kostěnej, // Dej mi za něj železnej» [Erben 1883: 115]; იგივე შემთხვევა უკვე იაგას შემთხვევაში: სლოვაკ. «Ježi-bábo, stará bábo, tu máš zub košteny, dej mi žan železný!» [Потення 1865: 91], და სხვა მითიურ პერსონაჟთან სლოვენურიდან: „ტორკას, ისევე როგორც იაგა-ბაბას, მოაქვს ბავშვებისთვის რკინის კბილები. ბავშვები აგდებენ ამოვარდნილ კბილს თავის სოროში და ყვირიან:«Torklja, jaz ti dam koščen zob, daj mi zanj železnega» [Kelemina 1930: 266]. თქმულებათა ჯადოქარს მარია თეთრ გედს მარენასთან [Рыбаков 1994: 401, 402] და მარენას იაგასთან აიგივებდა ბ.ა. რიბაკოვი: „ქალური ღვთაება, რომელიც შთანთქავს მისთვის ბოძებულ ძღვენებს, შესაძლოა ყოფილიყო მაკოში (მოსავლისთვის საფრთხის შექმნის შემთხვევაში), და ჭირისა და ადამიანის სიცოცხლისთვის საფრთხის შექმნის შემთხვევაში შესაძლოა ყოფილიყო მარას, მორენას, («мор», «морить» - დან) მტრულად განწყობილი და ბოროტი ღვთაების განსახიერება, რომელმაც შედეგად მიიღო საზოგადოდ ცნობილი ზღაპრული ბაბა-იაგას სახე. ზღაპრები ხშირად ხაზს უსვამენ ამ არსების სიდიადეს, „ერთს შეიძლება ვადასრუტებდეთ: შუმსკის IX–X საუკუნის დიდი კოცონი ქალის უზარმაზარი ფიგურის მკვეთრი კონტურებით არის საზოგადოებრივი მსხვერპლშეწირვის გადმონაშთი რაღაც გარკვეული ქალური ღვთაებისთვის. უფრო შესაძლებელია, რომ ეს არის არა მაკოში, მოსავლის ქალღმერთი, არამედ სხვა, ქტონიკური ღვთაება, არეკლილი ფოლკლორში მარას, მორენას, ლიხას, ბაბა-იაგას სახელით“ [Рыбаков 1994: 219, 223].

ბოგუმით გასანოვი თავის კვლევაში „მარენა“ ამტკიცებდა, რომ სიკვდილის ქალღმერთის განზოგადოებული იერსახის განვითარებამ გაიარა სამი ძირითადი ეტაპი (მეოთხე ექვქვეშ არის):

1) წარმოდგენების გამოვლინება ქალღმერთი-დემონის მარას/მორეს შესახებ, რომელიც ღამით მეფობდა, იწვევდა მომაკვდინებელ ძილს, სვამდა თავისი მსხვერპლის სისხლს, კლავდა(ახრჩობდა) მათ ძილში.

2) კრისტალიზაცია დემონი მარას იერსახის წარმოდგენების საფუძველზე, წარმოდგენები სიკვდილის ქალღმერთის შესახებ, რომელიც არის ყველანაირი უბედურების მიზეზი, თუმცა ასევე გარკვეული მფარველობის მბოძებელი მათთვის, ვინც მას მოთაფლავს.

3) სიკვდილის ქალღმერთის ერთ დროს მეტ-ნაკლებად ერთიანი სახის ლოკალურ ბოროტ სულებამდე დაშლა (უკრ. სალანძღავი «мара свитова» = როგორი სატანა ხარ! -[Снегирев 1838: 10] და ნახევრადღვთაებრივი არსებების, რომლებიც პასუხს აგებდნენ რაიმე გარკვეული ქმედებებისთვის (დაავადებების გამოწვევა, ცოდვილების დასჯა და ა.შ.) - აქ მარას სახე ბუნდოვანია, უერთდება ხალხური დემონოლოგიის პერსონაჟებს, საბოლოო ჯამში რჩება სახელი (ან წოდება), გარკვეული გარეგნობის ნიშნები და ქალღმერთის ქცევა, თუმცა ეს უკვე ის აღარ არის: „საერთო სლავურ ფონზე წარმოდგენები სიკვდილის შესახებ გამოიხატება საერთოსლავური Morena, Mora, Mara, ამავედროულად მორები და მარები - იმავე ბუნების არსებებია, თუმცა უფრო დაბალი დონის” [Иванов-Топоров 1965: 187];

4) დაშლისა და ინვოლუციის პარალელურად ქალღმერთის სახე, სავარაუდოდ, ინვერსირდება - მარენას ქრისტიანული მითოლოგიის პერსონაჟებთან დაახლოების შემდეგ, რიგ შემთხვევებში აღინიშნება ქალღმერთისთვის იმ თვისებების მიკუთვნება, რომელიც აშკარად მისი „ძირითადი“ ბუნების საწინააღმდეგოა, გამოვლენილი მითოლოგიურ მოთხრობებში მკაფიოდ, როგორც მრისხანე და დამანგრეველი.

ბოლო პუნქტი სადავოა ასევე იმიტომ, რომ „კეთილშობილი შემადგენელი“ მარენას სახის არსებობს დასაწყისიდან, თუმცა უმნიშვნელო როლს ასრულებს. რადგან ის აღმოჩენილია მონათესავე ხალხების მითოლოგიასთან პარალელებში, ამიტომ საუბარია არქაულ მოვლენაზე. უხეშად რომ ვთქვათ, მე-4 პუნქტის ვარიანტში უპირატესობა იქონია წარმართულმა საწყისმა, რომელმაც მკვეთრი ხასიათი მისცა ქრისტიანულ ქალ წმინდანებს, ქრისტიანული საწყისი, კი ეჭიდება მარენას ერთ თვისებას, რითაც აუბრალოებს ქალღმერთის სახეს. ასე რომ, თუ შევძლებთ ინვერსიაზე საუბარს, მხოლოდ იმ შემთხვევაში, სადაც პოზიტივმა სრულიად გამოაძევა სიკვდილის ღვთაების სხვა თვისებები, და მითოლოგიური პერსონაჟი საკმაოდ განსხვავდება მარენასგან. ასეთი მაგალითები, უნდა ითქვას, ბევრი არ არის [Гасанов 2015].

სხვადასხვა იერსახის გათანაბრების იდეა ეყრდნობა რამდენიმე საფუძველს. ბევრი მდებრობითი დემონური მითოლოგიური პერსონაჟი, მათი საქმიანობის სფეროს განსხვავებით, რომელსაც მიაწერს მათ ხალხი, ფლობს აბსოლიტურად ერთნაირ თვისებათა ნაკრებს. ჩვენ დაწვრილებით განვიხილავთ მათ, მარენას იერსახის გარეგნული სურათის გაანალიზებისას. ახლა მხედველობაში უნდა გვქონდეს, პირველ რიგში, მხოლოდ ერთი ფაქტი: ამ თვისებათა შორის, რომელიც არ უნდა იყოს წარმოდგენილი შემდგომში, როგორც ერთი მითიური პერსონაჟის მეორესთან იდენტურობის მტკიცებულება და მათი ერთად - მარენასთან, მათ აერთიანებს სხვა თვისებები, რომელიც მათთან არ არის დასახელებული, პირველ რიგში გარეგნობა და ატრიბუტები. განსხვავებულ, ერთი შეხედვით, მითიურ პერსონაჟებს მინიჭებული აქვს საერთო ფუნქციები, ისინი ფიგურირებენ ერთსა და იმავე ფოლკლორულ სიუჟეტებში, და როგორც შედეგი, თითქმის ყოველთვის მათ მოაქვთ ადამიანისთვის ერთი რამ - სიკვდილი. ყველაფერი ეს ჩანს მარენას სახის განვითარების ნახსენები სამი ეტაპის დონეზე: მარას სული / ქალღმერთი მარენა (იაგა) / კიკიმორა, პოლუდნიცა, პიატნიცა, ქოლერა და სხვ. ისინი პრაქტიკულად იდენტურია, რაც მწვავედ სვამს კითხვას ერთნაირი ფუნქციების, გარეგნულად მსგავსი მითიური პერსონაჟების სიჭარბის შესახებ. პასუხი მასზე ჩვენ მიერ შემოთავაზებულია ვარაუდებში, რომ მათ ყველას აქვთ საერთო პროტოტიპი.

ჩვენ ვეთანხმებით მტკიცებას, რომ მარას სული არის პირველწყარო, და არა სიკვდილი ქალღმერთის შემდგომი განსახიერება. პირველ რიგში, ამ მითიური პერსონაჟის უკიდურესად არქაული ფორმის სახელი ცნობილია არა მხოლოდ სლავებისთვის, არამედ ბერძენი, ირლანდიელი, გერმანელი ხალხებისთვის, ინდურ მითოლოგიაზე ხომ ზედმეტია საუბარი. რაც მოწმობს მარას სახის ჩასახვაზე ჯერ კიდევ ინდოევროპული საზოგადოების ეპოქაში. ტერმინის წყაროები უფრო სიღრმისეულია, როგორც მინიმუმ, ნოსტრატისკულ *mä- «нет» или *muR▼ „წასვლა, დაღუპვა, სიკვდილი” [Долгопольский 2013: § 1353, 1464], თავის მხრივ შემავალი ჰიპოთეტიკურ ბორეულ ენათა მაკროოჯახში. შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ განხილული სახის საფუძველი დევს ერთ-ერთ მეტად იდუმალ ეპოქაში - ისტორიის იმ პერიოდში, როდესაც წარმოშობილმა კაცობრიობამ შეიძინა მეტყველების გააზრების უნარი.

მეორე რიგში, მარას საოცარი ფუნქციური ერთგვარობა სლავებში: ეს არის რაღაც საშინელი, შემაშინებელი, მხრჩობელი (დამწოლი), სისხლის გამომწოვი (როგორც ადამიანებში, ასევე ცხოველებში, მცენარეებში კი - მათი წვენის) არსება, რომელიც თავს ესხმის ღამით (ძილში). და ისევ, მსგავსი პერსონაჟი ცნობილია ევროპის და ასევე მსოფლიოს ხალხების უდაბლესი მითოლოგიისთვის.

მარენას სახე კი ნელ-ნელა ჩნდებოდა მარას/მორას სხვა ტიპის აღწერებიდან: სერბ. «на једноме раскршћу бијела дјвојка стоји у бијелом сва» [Раденкович 1989: 128], კაშუბ. «То луže на фsi муво мара, о blade мара» [Санникова 1990: 164], „ვოლოგოდური გლეხები წარმოიდგენდნენ კიკიმორას ძალიან მახინჯ, მოუწერსიგებლად; იმავე გუბერნიაში ყვებოდნენ, რომ კიკიმორა -არის ქალიშვილი თეთრ პერანგში“ [Власова 2001: 216]; [Иваницкий 1890: 125], ბლр. «спатыкаетца яму наўстречу вялизная жанцизна, ўся белая, с хустачкай ў руце. /.../ Мужик и дагадаўся, што гэта Мара» [Ляцкий 1892: 35]; ლუჟიჩანებში დემონი, რომელიც ახრჩობს ღამით მძინარეებს, კომმარი ატარებს სახელს mórawa, morawa, murawa (khodota, khodojta, khodojca), ხალხს ის ევლინება როგორ „თეთრი და რუხი ქალი, შავი ქალის იერსახით, მსუქანი ქალის კვერთხით”[Černý 1893-1898: 417]. ეს არის სწორედ პერსონიფიკაცია,

შეუცნობლის გასულიერება, მისთვის თვისებების მინიჭება. მორას - სიკვდილის, ძველი უსხეულო და საწყისად ამორფული (როგორც «marevo») პროტო-დემონის ანტროპომორფიზაციის წყარო არის ფრაზეოლოგიზმები, რომელიც აღწერს ადამიანის აღსასრულს. ისინი გულისხმობენ გარკვეულ თვითობას, სიკვდილის, როგორც ცოცხალი ობიექტის არსებობსა (смерть за порогомъ; смерть на носу; смерть на пядень; хвалился монах, когда смерть в головах, Даль), და რაც მნიშვნელოვანია, ქმედების უნარი, გადაადგილების : (и всякъ умереть, какъ смерть его придетъ; не он умер, а смерть его пришла; не он помер: смерть его умерла, и его с собой унесла, Даль). ეს არის რუსული მაგალითები, არსებობს ასევე ანალოგიური ჩანაწერები სხვა სლავურ და ინდოევროპული ოჯახის ენებში.

აქ უკვე იწყება სტრუქტურის წარმომქმნელი თვისებებს გამოკვეთა, სიკვდილის მეტად თვალსაჩინო მაჩვენებლები, რომელიც იქცევა აზრობრივ ნიშნებად: კანის გვამური ფერი, დამკვძალავი ტანსაცმელი, ძვლები და თავის ქალა - არის ის საფუძველი, რომლისგან გამომდინარეობს დალუპვის/სიკვდილის/ტკივილის ქალწულის საზოგადოდ მიღებული იერსახე. შედეგები გამოწვეულია პირველმიზეზით, და პირიქით - ის ჰგავს საკუთარ ქმნილებას. ამასთან ერთად, სიკვდილის ქალწულის სახეში ინახება წარმოდგენები დაკავშირებული დემონ მარასთან. მარას ერთ-ერთი სახასიათო გამოვლინება არის მძინარეთა დახრჩობა, რომელსაც ხშირად ახლავს მსხვერპლთა სისხლის სმა (ორივე ქმედება იწვევს სიკვდილს): лужиц. mórawa tłoci (давит) [Černý 1893-1898: 411], словац. tlačí ho mora, mora chodí cíciat', dusi/tlačí/leží na ňom mora, чеш. duši ho mora, dáví ho mŕra, chodí naň mŕra, пол. między mnie jak zmora, словен. mora ga tlačí, серб. притиснуо ме као мора [Валенцова 2013а: 206], кашуб. bladi jakbë go mora dëšëła «бледный, будто бы его мора душила» [Ермола 2011: 68], болг. мората ме натиска, мора го натискала [Георгиева 1993: 209], а также: «морава побила его камнями!» [Straus 1898: 201]. По представлениям поляков, «если больной посинеет, то говорят, что это «моровица» (morrowica). მისგან არ არის წამალი, რადგან ის არის მომაკვდინებელი. «Моровица как приходит – неизвестно откуда, стискивает внутренности». მისი დანახვა არ შეიძლება, რადგან ეს არის „ასეთი დაავადება“. «Если кто после смерти посинеет, это моровица его

задушила» [Lecznictwo ludowe 1894: 354]. აქვე ბერძნული τον έπιασε η Μόρα «ego схватила Мора», τον πλάκωσε η Μόρα «на него навалилась Мора» - „ის იბრჩობა“ მნიშვნელობით [Климова: 91], რადგან ნავარაუდებია სლავური ნასესხობა ბერძნულ დემონოლოგიაში. ასეთივე სისხლის მწოვად და მხრჩობელად წარმოგვიდგება მარენა-სიკვდილი მითიურ პერსონაჟებთან, ჩვენი აზრით, მასთან დაკავშირებული :«И рече Аника Воин: // – Что ты за баба, // Что ты за пьяница?» [Киреевский 1862: 136]; [Афанасьев: 47]; ჩეხური სიმღერების თანახმად, სიკვდილი ახრჩობს ადამიანებს ისე, რომ გამოდის სისხლი: «A takhle ho stiskala, // Ež krev z něho vyšla» [Máchal 1891: 86]; [Navrátilová 2004: 172]; კურსკულ ზღაპარში სიკვდილის როლს ასრულებს ალქაჯის შვილი, რომელიც დადის სახლებში - ფანჯრის მინის გამოღებისას, ის ყოფდა ხელს ქობის შიგნით და აპრუკებდა შხამს „ხალხი იბრჩობა, კვდება“ პარასკევა და ბარბარე ახრჩობენ თითქმის სიკვდილამდე მათ, ვინც არღვევს შრომის აკრძალვას სანუკვარ დღეებში [Милорадович 1991: 381]. ბაბა იაგა ინახავს მორას-სისხლისმწოვის თვისებებს - ახრჩობს და სვამს მისი მსხვერპლის სისხლს. ვოლოგოდურ ზღაპარში ის ელოდება, სანამ გმირი, რომელიც მასთან რჩება ღამით, დაიღლება, «только стал засыпать, вдруг слышит, кто-то его за горло давит» [Тенишев 5/3, 2007: 575], укр. «а це був упир великий» – პირდაპირ ამბობს მის შესახებ მეზღაპრე [Зинчук 1, 2003 № 10], «стара Інджі-баба. Вона жила недалеко в хаці і приходила ночами до принцеси ссати з неї кров» [ТСГ 1974: 73], блр. «унадзілася к ей баба (Баба-Юга, – А.К.). /.../ яна дудку прыправіла к сэрцу да давай кроў ссаць» [ЧК 1, 1978: № 52].

სისხლისმსმელებად აღწერილია ერლანდიური მორიგანი და ინდური კალი: «Сама же она отправится к Скетнеи сокрушит Индеха, сына Де Домнан, иссушив кровь в его сердце и отняв почки доблести» [Предания и мифы средневековой Ирландии 1991: 41].

მარენას სახის არქაული თვისება, რომელიც არის დემონი - მორას მემკვიდრეობა, ავტორის აზრით, არის შიში, რომელსაც ქალღმერთი სიკვდილი შთააგონებს მისი შესახედაობითა და იარაღით, არა იმით, რა მოყვება მის ვიზიტს, არამედ მხოლოდ მისი სახელით (მოხსენიებით). შესადარებლად ირლანდიური ომის

ქალღმერთის მორიგანის სახელი „ძლიერი საშინელება“ [Похищение быка из Куальнге 1985: 81], ან კალის სახელები „საშინელი“, „საშიში“. [ДБП. XII.6.122]. ეს არის ირაციონალური შიში, პირველყოფილი საშინელება, რომელიც ცხოვრობს ჩვენი ცნობიერების ბნელ მხარეს. არაცნობიერი პანიკა, დაკავშირებული ხილვებთან, ხშირად აბსტრაქტულთან, უფორმოსთან, მაგრამ ამასთან ერთად მეტად კომმარულთან. ძილის სამეფო = საიქიო სამყარო და იქ მბრძანებლობს მარენა, ამიტომ კომმარული სიზმრები - მისი ნახელავია. ის აგზავნის მათ, მოევიწიება მათში/მათი დახმარებით, ან მსგავსი მდგომარეობა ჩნდება როდესაც მარა/მარენა ახრჩობს მძინარეს.

1.2. სლავური სიკვდილის ქალღმერთების სახელების ვარიანტულობა

სლავური სიკვდილის ქალღმერთის სახელები დამოწმებულია ბევრი დამოუკიდებელი წყაროს მიერ: ეს არის ავთენტიკური ჩანაწერები (არყისხის სიგელები), ფოლკლორული და ეთნოგრაფიული მასალები. შევჩერდეთ უფრო დაწვრილებით სიკვდილის ქალღმერთის სახელების ვარიაციებზე იმ მოხსენიებებში მის შესახებ, რომელიც ხელმისაწვდომია ჩვენთვის დღევანდელ დღეს.

ცნობილია, რომ მარენა (მორენა), მარა სლავების მითოლოგიაში - სიკვდილის ქალღმერთია. მისი სახელი ენათესავება შემდეგ სიტყვებს «мор», «марев», «морок», «мрак», «морочить», «смерть» და ა.შ.

მაჟანა (Marzyana) - ეს არის დასავლურსლავური მითოლოგიური ღვთაება, რომელსაც XV საუკუნის პოლონელი ქრონიკოსი ი. დლუგომი უკავშირებს რომაელ ცერერას (მიწისა და ნაყოფიერების ქალღმერთს).

მორანა (ძველჩეხ. Morana), დაკავშირებული სიტყვის განმარტება „Mater verborum” - დან გეკატასთან («Ecate, trivium vel noctivaga, Proserpina») ახლოს არის ეტიმოლოგიაც (მორა - ბინდი, გეკატა - დაისი), და ცხოველები (გველ-გორინიჩი და კერბერი). „ჩეხური რიტუალები, დაკავშირებული არსებასთან სახელად Mařena (სლოვაკ. Morena, Muriena, Mamuriena და ა.შ.) და დამოწმებული მონაცემებით დაწყებული XIV საუკუნიდან, ადასტურებენ ამ მტკიცებულებათა სანდოობას და გარკვეულწილად გეკატასთან გაიგივების მართლზომიერებას [Иванов-Топоров 1965: 58]. სამგვაროვნება, როგორც დავინახავთ შემდეგში, მართლაც ჩანს სლავური მარენას სახეში და საერთო ჯამში დამახასიათებელია სიკვდილის ქალღმერთისთვის.

მ. ფრენცელს (Dissertationes historicae tres de idolis Slavorum. 1691 წ.) ლუჟიცკურ ღვთაებათა ჩამონათვალში მოჰყავს Marzana (რაც ჩვენი მითოგრაფებით დიდი ხანი ალბათ ითვლებოდა როგორც მარცანა) როგორც სიკვდილის ქალღმერთის სახელი [Mikhailov 2001: 21], ასახავს აშკარას - ქალღმერთის ძირითად ფუნქციას. რასაც იმეორებს შემდგომში ა. ფრენცელი (1694), სახელის ოდნავი ცვლილებით «29. De

Marzava, Dea Morte, feu Mortis» [Михайлов 1998: 394]. ლუჟიჩანებში სიკვდილის სახელის პერსონიფიკაციის მსგავსი ფორმა საკმაოდ ცნობილია: murava, morova, mórava, myrava [Máchal 1891: 175],[Černý 1893-1898: 411]. მაგრამ ეს, სავარაუდოდ, არის არა საკუთარი სახელი, არამედ აპელატივი, წარმოებული ზედსართავიდან ჭირის მნიშვნელობით „ჭირი, ადამიანების ან პირუტყვის ეპიდემიური დაავადება“. მითიური პერსონაჟი, სამყაროს გაჩენაზე პასუხისმგებელი, ძირითადად ასე არის სახელწოდებული: პოლ. mornica, morowica [Санникова 1990: 31], morowa dziewica [Biegeleisen 1930: 289], ჩეხ. morová panna [Зайцева 1975: 244], ბლრ. моровая панна [Богданович 2009: 144]. Ср. также пол. (pani) murawska „სიკვდილის განსახიერება“, ამ შემთხვევაში ტერმინი აგებულია გვარის მსგავსად [Санникова 1990: 89].

მარა სლავურ უდაბლეს მითოლოგიაში - მოჩვენება, ხილვა; სული ქალის იერში, სიკვდილი. უკრაინელების მარა - მოჩვენება, მოლანდება, ბოროტი სული.

სერბების მორა - სახლის სული; პოლონელების «mora», «zmora» - კომმარი, «mara» - ჩრდილი, ხილვა, მოჩვენება.

მსგავს სახელწოდებებს აქვს ამავე სახის არსებებს სხვა ინდოევროპულ ხალხებთან.

Morena, Muriena, Ma(r)muriena სლოვაკ. (აღმოსავლეთ - სვალურ ტრადიციებში მარენა - ჩალის საფრთხობელაა, რუს. მარინკა თქმულებებიდან და სხვ. პერსონაჟები მსგავსი ფონეტიკური სახელებით).

როგორც ვარიანტი, სიკვდილის სილამაზე წარსულშია, და ასე თანმიმდევრულად აერთიანებს საკუთარ თავში სიკვდილის ქალღმერთის სახის ბინარულ ოპოზიციას: „ უძველეს დროს ადამიანებს არ ეშინოდათ სიკვდილის. ის ძალიან ლამაზი ქალიშვილი იყო /.../ ყველაფერში არიდია დამნაშავე”, ძალით გააჩერა ის კუბოში ასი წლის განმავლობაში [Андроников 1912: 54].

მარენასთან შესაბამებულ სხვა მითიურ პერსონაჟებს ასევე აქვთ გასაოცარი თვისებები. ასეთად შესაძლოა წარმოგვედგინოს ნედოლია ბელორუსებთან: «голая девка, пригожая-пригожая» [Романов 1885-1912: Т. 4, 47], „ხალხი წარმოიდგენს პოლუნდინცას თეთრებში ჩაცმული მაღალი, ლამაზი ქალიშვილის სახით” [Балов 1901: 87], „იაროსლავშინაზე მარას წარმოიდგენდნენ თეთრებში ჩაცმულ ლამაზ ქალიშვილად” [Власова 2001: 333]. სიკვდილის ქალღმერთის სახის კიდევ ერთი გადმონაშთი - ვიღაც იდულამი ქალწული „ლამაზმა ქალწულმა ნებისმიერ დროს ტყეში შეიძლება შეგიტყუოს” [Балова 1999: 32].

სიკვდილი ლამაზი ქალის სახით ეჩვენება, მათ შორის, ტყეშიც: „ განიერი პანამ ნახა ტყეში. წავიდა ის კენკრისთვის და დაინახა: მოდის ქალი შავ ქუდში. შალს გარდამავალი ფერის ფოჩოჩები აქვს. არასდროს ასეთი ლამაზი შალი არ უნახავს. თვითონ ქალი ძალიან ლამაზია... და შემდეგ მათ ოჯახში ვიღაც გარდაიცვალა” [Зиновьев 1987: № 421]. ავსტრიელების წარმოდგენებით, ლუცია - „ლამაზი ქალია გრძელი თმებით, თეთრი ტანსაცმლით” [КООЗ 1973: 167].

საერთო ჯამში, აშკარაა რომ ახალგაზრდობა და სილამაზე ეთავსება ერთმანეთს, ასე რომ შესაბამისად უნდა ველოდოთ საწინააღმდეგოს - სიბერისა და სიმახინჯის შეხამებას.

ქალღმერთის ასაკი ასევე ცვალებადია. მარენას შეუძლია ნებისმიერი სახის მიღება, ამიტომ უფრო შესაფერისია შემოვიფარგლოთ მისთვის საყვარელ ასაკთა მაგალითების აღწერით: „დღისით გოგონა, შუადღეს ქალიშვილი, საღამოს

დედაბერი, [ასეთი სახით] ბრძენები ხედავენ ბზაგავატის” [ДБП. XII.5.4], „ვინც აისზე საყვარელი გოგონაა, შუადღისას - ქალიშვილი, /საღამოს კი - შავსახა დედაბერი, მის წინ ვიდრეც მუხლს” [ДБП. XII.9.20]. ან, მაგალითად, კალის სახელები: „სიბერე”, „ახალგაზრდა-ქალწული” , „მუდამ ახალგაზრდა”, „ქალწულის-სახის- [წარმოჩენილი]” [ДБП. XII. 6.57, 6.109, 6.11, 6.72], „ყმაწვილქალი”, „ქალწული” [Чондимонгол 1980: 150].

ცნობილია ბევრი შემთხვევა, როდესაც სიკვდილი მოდის ახალგაზრდა ქალის ან ქალიშვილის სახით: ბლრ: «Смерть – это дзеўка ў белым платти, бела женщчына, длинна, худая, пальцы халодны, длинны» [Виноградова 2001: 15], «ўперадзі дзевушка ідзець у шляпе, красівая такая» [ПЭЗ 2011: № 240], «Вроде бы жэньшчына, нэ старая, в молодом вроде бы видэ» [ПОС 2008: 338], «яна у белым плацы, высокая, худая, маладая яшчэ, з касой» [Казначэеў 2013: 199]. მარენას საფრთხობელას ჩეხური სახელწოდებები აშკარად მიუთითებს მის ახალგაზრდობაზე: Smrtholka, Smrtolka, Smrtolinka, მორავ. Smrtulka, არის შესაბამისად smrt + holka - დან „ქალწული-სიკვდილი”.

პარასკევა, ხატების მიუხედავად, სადაც მას გამოსახვენ როგორც ასაკოვან ქალს, ხალხის მიერ აღწერილია, როგორც ახალგაზრდა გოგო: „ ქალიშვილი გამხდარი, ფერმკრთალი, ჭრილობებში: დაჩხვლეტილი, დაჭრილი, დანაკუწებული - იყო წმინდა პარასკევა” [Иванов 1907: 16], უკრ. «Ишла дивка, шо в пич лазыла проты пятныци, на досвиткы и перестрила незнакому дивку; косы у ней роспущени, наперед лежать сюды» [Милорадович 1991: 381], «Ишов чоловик степом, колы иде полунычка: дивка распатлана, у глыни, у кострыци, подряпана, и кров на ий бижыть. /.../ Вона каже: «Я полунычка, пятныця»» [Милорадович 1991: 378].

1.8. სიკვდილი პატარძლის სახით. სიკვდილის სამოსის ვარიანტულობა

სიკვდილის პატარძალ-გაზაფხულად აღწერის მაგალითების რაოდენობა ნაკლებია ქალღმერთის დედაბერად აღწერის მაგალითებზე, თუმცა ის საკმარისია რიგი დასკვნების გამოსატანად. ერთ-ერთი ეხება სიკვდილის პატარძლის სახით მოხსენიებას (განსაზღვრებით- ახალგაზრდა ქალიშვილის).

პატარძალი როგორც საქორწილო მისტერიის პერსონაჟი - ფიგურა, რომელიც არის ზღვარზე: ის სიმბოლურად კვდება წესის აღსრულებისას, ამიტომ საქორწილო თეთრი კაბა, რომელშიც სიკვდილი იჩენს თავს, არის სუდარის მნიშვნელობის. ქალი-თეთრებში, როგორადაც არ უნდა წარმოჩნდეს მისი კაბა თვითმხილველთათვის, არსი არის მიცვალებული, მოსული იმქვეყნიური სამყაროდან. სიკვდილი წარმოჩნდებოდა «თეთრ, ხანდახან შავ საქორწილო /.../ კაბაში» [СД 1995-2012: Т. 5, 63], ბლр. «коло двэрэй стояла молодуха ў билом-биллом и ў вэнки. /.../ И на други дэнь хозяйка помэрла – то была йеи сьмэртъ», «Выйшла во двор. Коло двэрэй стойала молодуха. Вс'а убрана на молодуху. В б'элом платйе с вэнком. /.../ И на другэй дэн хоз'айка тайа помэрла (в чьем дворе это происходило). То смэрт' була» [ПОС 2008: 340], [Виноградова 2001: 15]. პატარძლის სახეს აძლევენ საფრთხობელას, რომელიც მარენას განასახიერებს: „აცმევდნენ მას, როგორც ახალგაზრდა პატარძალს (mladá ňvesta)“ [Krupa 1998: 139].

თუ გავიაზრებთ სიკვდილი-პატარძლის სახეს თქმულებების გათვალისწინებით ხალხის შესახებ, რომელთაც მასთან ჰქონდა ქორწილი [Афанасьев 1957: Т. 3, 57-58], მაშინ, როგორც მინიმუმ კაცებთან მიმართებაში, სიკვდილი შეიძლება სრულდებოდეს როგორც ქორწილი მშვენიერ უცნობთან. ამას არ ეწინააღმდეგება არც ფოლკლორული ტრადიცია. ასე, მომაკვდავი კაზაკი თხოვს ცხენს დამალოს მისი სიკვდილი, და აცნობოს მის ახლობლებს მოვლენების სხვა ვერსია: «Не кажи, сивый конь, што я битый ляжу, // А кажи, сивый конь, што жанатый хаджу» [Смирнов 1981: № 22], ასევე აღწერს თავის აღსასრულს ვასილი ბუსლაევიჩი თქმულებებიდან, რომელმაც მთვრალი თავი ქვა ალატირზე გაიტეხა: „უთხარით ძმებო, დედას, // რომ

დაინიშნა ვასილი ფავორ-გორაზე // და დაქორწინდა ვასილი თეთრ-მწარე ქვაზე“ [НвБ 1978: № 2].

რაც შეეხება სიკვდილის ქალღმერთის სამოსს, შეგვიძლია ვთქვათ, რომ სიკვდილი არ არის მაინცდამაინც წუნიანი ტანსაცმლის მხრივ (აღარ ვსაუბრობთ იმის შესახებ, რომ მას შეუძლია მათ გარეშეც წარმოჩნდეს), და საერთო ჯამში, მისი სამოსის ნაკრები საკმაოდ შეზღუდულია - როგორც ფერთა გამით, ასევე შეკერილობით. ტანსაცმლის სიმბოლიკა ხანდახან ნათელია, როგორც სუდარისა და მისი ვარიაციების შემთხვევაში: სლოვენების წარმოდგენებით, სიკვდილი - მაღალი ქალია, გახვეული «do hustého závoja» - „სქელ საბურველში“ [Blagoeva-Neumanová 1976: 136]; пол. «Patrzy z dala, że coś idzie; patrzy znowu – to niewiasta! Cała płachtą owiniona, na wysokich nogach chodzi. /.../ «Znasz Powietrze? Ja to jestem!»» [Wójcicki 1837: 51-52].

ხანდახან მიხვედრა შეიძლება, თუ საუბარია პატარძლის სამოსელზე: ბლრ. «коло двэрэй стояла молодуха ў билом-биллом и ў вэнки. /.../ И на други дэнь хозяйка помэрла – то была йеи сьмэртъ», «Выйшла во двор. Коло двэрэй стойала молодуха. Вс'а убрана на молодуху. В б'элом платье с вэнком. /.../ И на другэй дэн хоз'айка тайа помэрла (в чьем дворе это происходило). То смэрт' була» [ПОС 2008: 340].

ან მისქევმ პერანგი (ნორმების მიღმა ყოფნის დემონსტრირება - „უქამრობა“): «У Грубешівському й Літинському повітах холеру уявляють в образі простоволосої жінки, яка блукає селами й містами в самій сорочці» [Булашев 1992: 217], „ციებ-ცხელება შეიძლება იყოს ქალი თეთრებში, თავსაბურავისა და ქამრის გარეშე“ [Власова 2001: 308], იაგა „თმადაუვარცხნელია და პერანგში ქალრის გარეშე: ერთიც და მეორეც - უწესობის ზღვარა“ (Даль), სიკვდილი ასევე დადის «розхристана» (კარპატ.) [СД 1995-2012: Т. 5, 63] ანალოგიურად გამოიყურება გეკატა: „ქამრის გარეშე, ცხოველური ღრიალით, დასანახად მიუწვდომელი“ [Античные гимны 1988: 181].

მნიშვნელობა აქვს ასევე მისი ტანსაცმლის ფერს: „ლაიმა /.../ ეჩვენება ხალხს სამი ფერის სამოსში. თუ იქნება მოსავალი - ის მწვანეშია, თუ ომი იქნება - ალისფერში, შიმშილისა და ჭირის შემთხვევაში - შავებში. ბოლო შემთხვევაში

ლიტველები ეძახდნენ მას ჭირის ქალწულს (Morową Dziewicą)» [Jucewicz 1846: 21]; „ქალი-თეთრებში”, რომელიც ეჩვენება ცვლილებების წინ და წინასარმეტყველებს მომავალს, აკეთებს ამას არა მხოლოდ ჟესტების საშუალებით, ასევე ფერთა ენით: „უცნობ ქალს შესაძლოა გაუჩნდეს სხვადასხვა ფერის თავშალი: შავი - ომის მაუწყებელია, ყვითელი - მოსავლის, წითელი - სისხლის” (Балашова). შევადართო ჩეხური წესჩვეულება - ივანიაში, (ბრნო) მიდამოებში სმრტოლკის თოჯინას ახვევდნენ ფერად ლენტებს, რომელიც ყოველ წელს იყო განსხვავებული ფერის” [Václavík 1959: 198].

ფერთა მსგავსი სიგნალიზება ცნობილია ინდური ტრადიციისთვის კალის შემთხვევაში: „მოძულეს მოკვლისას, სიკვდილის ქალღმერთს აქვს შავი ფერი, მაშველის როლში - თეთრი, ადამიანების მბრძანებლის როლში - წითელი ДМ 2009: 106]. როგორც ვხედავთ, სიკვდილი მარტივად იცვლის ჩაცმულობას, რადგაც მისი სახე - პირობითი სიდიდეა ლოკალური ტრადიციების მხრიდანაც კი: ს. ში ჩერნოგოლოვი ველიკობერეზნანსკის რნ-ის(უკრაინა) თვლიდნენ, რომ მიცვალებულებს ახალგაზრდა წლებში სიკვდილი შეიძლება წვეოდათ თეთრ სამოსში, ასაკოვნებს კი - შავში. [Гузий 2007: 140], ბლრ. «Бильшэ говорят, шо жэнщина, висока такая жэнщина. Те кажут, што у биэлом, те кажут, шо у чорному. Можэ, она перэодеваеца» [ПОС 2008: 336], ვოლოგოდელი გლეხები კიკიმორაზე ამბობდნენ ასევე „სული, რომელსაც აქვს პერანგში ჩაცმული გოგონას სახე ან ევლინება შავ სამოსში სართავისთვის “[Тенишев 2007: Т. 5 Ч. 1, 497].

სლავებისა და ევროპის ხალხთა ტრადიციებში სიკვდილის სამოსის თეთრი ფერი არის ხშირად ხსენებული, მისი ძირითადი ფერი. ქალღმერთის მომაკვდინებლად-ფერმკრთალ ფერთან შეხამებით იქმნება საკმაოდ საშინელი სახე კუბოდან აღმდგარი მიცვალებული ქალის, რომელიც ეძებს ცოცხლებს.

რუსეთი: „სიკვდილი შეიძლება დავინახოთ, თუ როგორ მიდის ის გრძელ თეთრ სამოსში რომელიმე სახლში მსხვერპლისთვის” [Ушаков 1896: 203], „სმერტოცკა - ზმანება სულ თეთრი, როგორც ბულული. თავს მალლა - თეთრი ლენტი” [Седакова 2004: 64], „სიკვდილი - თეთრში. სიკვდილი სულ თეთრი. ასე ხომ ამბობენ ჩვენთან:

„რად ხარ სიკვდილივით თეთრი?“ [Ивлева 2004: 115], ნოვგოროდულ თქმულებაში სიკვდილი ყვირის, მოასწავებს დალუპვას: „დგას ქალი, სულ თეთრით გადაფარებული და მთელი ხმით კითხულობს“ [Власова 2013: 310].

უკრაინა: «прийшла якась жінка, в білому зібрана /.../ То як би то Смерть» [Галайчук 2008: 119]. Смерть идет в гости: «одягла білу сорочку і покандибала до приятеля» [ЧГ 1971: 102]. ლემკებს ჩაწერილი ჰქონდათ თქმულებები სიკვდილის შესახებ ამავე სახით „დროდადრო ეს დედაბერი, ჩაცმული თეთრ თავსაბურავში /.../ ეკლესიასთან გავლისას, მათ დაინახეს თეთრი ფიგურა, რომელიც იყო, მარტივად მისახვედრია, სიკვდილი [Wosiek 2000: 33].

ბელორუსია: «Смерть местный народ представляет себе как рапнэ w bieli ubrana, держашую в руке косу» [Federowski 1889: 364], «Жёнка ў белом, но може и на мышь, и на жабу перетворица, кажуць, шо з косой», «Наша баба померла. (А до этого) к ней ходила жоночына у белом-белом уся» [ПОС 2008: 336]. «И пришла дивка во всим билым /.../ на голове у тэй дивки була намытка» [ПОС 2008: 340].

სლოვენია: «Smrt je visoka, tenka, belu opravu ima» – „სიკვდილი – მაღალი, თხელი, აქვს თეთრი სამოსი“ [Valjavec 1868: 153], ი. კელემენას სიტყვების თანახმად, სლოვენები სიკვდილს უწოდებენ «Bela žena» [Cvetek 2005: 188].

სლოვაკეთი: ზღაპარში ღარიბი კაცი, რომელიც წავა თავისი ახალშობილის ნათლიას საძებნად, ხვდება უცნაურ ფიგურას – «stvara vysoká, vyziabla, bielou plachtou zastretá» – „არსება მაღალი, გაყინული, თეთრ საბურავში გახვეული“ [Dobšinský 1881: 67], «Smrt – vysoká, kostnaná žena celá zahalená do bielej plachty» – „სიკვდილი - მაღალი ძვლებამდე გამხდარი ქალი, სრულად გახვეული თეთრ საბურავში“ [Blagoeva-Neumanová 1976: 133].

ჩეხეთი: „ხალხი წარმოიდგენს სიკვდილს, როგორც ჩონჩხს, გახვეულს თეთრი, გამჭვირვალე ქსოვილით, რომელსაც მარჯვენა ხელში აქვს ცელი“ [Žipek 1895: 533], «Smrt si představuje lid co kostlivce ženského /.../ Často prý již smrt, objevivši se co bílá postava ženská, v husté závoje zahalená, aby kostlivce viděti nebylo» – „სიკვდილს ხალხი

წარმოიდგენს ქალის ჩონჩხად/.../ ხშირად ამასთან ერთად სიკვდილი ჩნდება, როგორც ქალის თეთრი ფიგურა, გახვეული სქელ საბურველში, რომ ჩონჩხი არ ჩანდეს” [Houška 1855: 56].

ლუჟიჩანები: დედაბერი „Смертница” (smjertnica, smjerc) – „თეთრი საბურველით დადის ის სოფელში, და თუ დაინახავენ რომ მიაუხლოვდა ის რომელიმე სახლს, იქ უეჭველად იქნება მიცვალებული” [Срезневский 1890: 59], «blěda, přistojna a w běžu drastu woblečena žónska» – „ფერმკრთალი, მაღალი და თეთრ ტანსაცმელში გამოწყობილი ქალი”, რომელიც ჩნდება სახლის წინ ან იმ სახლში, სადაც ვინმე სამი დღის განმავლობაში მოკვდება [Černý 1893-1898: 209], [Smoler 1848: 221], უკიდურესად მიმდობელ ადამიანზე ლუჟიჩანები ამბობენ «Tón wěri /.../ zo je smjerc čorna!» – „არ სჯერა /.../ რომ სიკვდილი შავია” [Černý 1893-1898: 209].

პოლონეთი: სიკვდილი „იღებს ქალის იერსახეს, ზოგიერთი ინფორმატორი აღწერს მას, როგორც «wielkiej baby, suchej w łoktusie (платке) białej»» [Lehr 1982: 130], «Śmierć wyobrażają sobie jako wysoką kobietę w bieli» [Sarna 1898: 89], «Śmierć, esto kobieta chuda, bardzo wysoka i w białym odzieniu» [Udziela 1886: 39], «Pry konających widują u nóg, u głowy lib przy drzwiach kobietę w bieli, którą mieniają być śmiercią» [Janota 1878: 110]. ნოვოტარულ (ზაბრეჟულ) თქმულებაში აღწერენ მას როგორც: «Śmierć podobną jest do baby, ubraną jest biało i má kosę i młotek» – „სიკვდილი ჰგავს დედაკაცს, ჩაცმულს თეთრებში და აქვს ნაწნავი და ჩაქუჩი “ [Mátyás 1894: 98].

ჩეხურ სიმღერებში, რომელიც ახლავს მარჟენს/სმერტკას საფრთხობელას გამოტანას, მას უწოდებენ: smrtko bílá, smrt’o bílá, smrtolenko bílá, к ней обращаются: Smrtonoško smrtelná, te seš celá bílá [Večerková 2015: 99]. აქ, როგორც შესაძლოა დავუშვათ, გაერთიანდა რამდენიმე მიზეზი: ქალღმერთის კანის ფერი, თეთრი სამოსელი და სიკვდილის ჩონჩხად აღწერა.

თეთრი ფერი სლავურ ტრადიციებში გამოკვეთილად შეესაბამება სიკვდილის იდეას, ასე რომ მარენა დადის „თავის ფერში”. მაჟანას-მასლენიცას საფრთხობელმას ტანსაცმელთან დაკავშირებით ი. პოსპეხი აღნიშნავს: „მუდმივი ელემენტი იყო

თეთრი პერანგი, შეიძლება, სლავური თეთრი დაკრძალვის სარიტუალო ტილოს კვალი” [Pośpiech 1987: 162].

ასეთივე არის გლოვის ფერიც სლავებში: სერბეთში „მგლოვიარე ქალები მიყვებიან კუბოს თეთრი საბურველით” [Černý 1883-1898: 210], სლოვაკი ქალები „გლოვისას ატარებენ თეთრ კაბებს” [Богатырев 2007: 220], ბალკანოსლავურ ტრადიციაში თეთრი ხშირად გამოიყენება, როგორც გლოვის ფერი, განსაკუთრებით ახალგაზრდების დაკრძალვისას. შავი ფერის საპირისპიროდ თეთრი ფერი აღნიშნავს მიცვალებულის ზუსტად ამ სოციალურ-ასაკობრივ კატეგორიას. მაგალითად, თეთრ კაბაში აწყობენ გადრაცვლილ ქალიშვილს, ან „ახალგაზრდა მიცვალებული კაცის კარზე კიდებენ თეთრ ქსოვილს” [Микитенко 2013: 200], „თავიდან თეთრი ფერი ეკუთვდონა დაკრძალვის წესს და იყო სიკვდილის სიმბოლო, რასაც მოწმობს თეთრი დაკრძალვისა და გლოვის სამოსი, თეთრი ყვავილები საფლავზე” (ტარაკანოვა), „თეთრი ფერი ჭარბობდა აღმოსავლეთ სლავების სამოსში”

ზემოთქმულის შემაჯამებლად: თეთრი ფერი - სიწმინდის, ღვთაებრიობის სიმბოლოა, და ეს, ლოგიკურია, მიემართება სიკვდილს, რადგან ის - ქალღმერთია; ეს არის სიწმინდის სიმბოლო, და სიკვდილს უბრალოდ არ აღწერენ ფოცხით ხელში - მას მოაქვს ამ სამყაროში საბოლოო სისუფთავე, უფრო დაზუსტებით, ის გაწმენდს სამყაროს ბოლო ჟამს. ბოლოს, ის არის ზამთრის ქალღმერთი, და ამიტომ სამოსის ფერს აქვს თანასახობრივი შედარება გერმანელი ქოლდას სამოსის ფერთან, რომელიც უშუალოდ უკავშირდება წარმოდგენას თოვლის შესახებ: „ცისფერ კაბაში და თეთრ საბურავში ის გამოიქცა მწყემსებთან და მათ ფარებთან /.../ ტყეებში ხედავენ მას დედაბერად ნაცრისფერ კაბაში [Потебня 1865: 88].

1.9. სიკვდილის „ცეკვა“

სიკვდილის ქალღმერთისთვის, „ადამიანის სისხლდალეულისთვის“, დამახასიათებელია სიხარულის გამოხატვა ცეკვის საშუალებით. სიკვდილი, ცეკვისას აგრძელებს ღუპვის გავრცელებას.

ცეკვა კუბოსა ან ძვლებზე - ერთი-ერთია მისი თვითგამოხატვის უძველესი საშუალებებიდან, არეკლილი განსხვავებულ ტრადიციებში.

ვოლოგოდელმა ქალიშვილმა წაიკითხა გარდაცვლილი დედის სხეულზე: *«Ты не радуйся, Троица! Не скачи, Богородица, // Не трубу полотна везу. // А везу родимую матушку»* [Тенишев 2008: Т. 5, Ч. 4, 45]. სთხოვო, რომ სიკვდილის გამო არ იცეკვოს, შეიძლება მხოლოდ მარენას, და ქალწული მარიამ აქ ძალიან ცხადად პოულობს თავის არსს.

სატირულ სიმღერაში «Горюшко и Улав молодец» იხატება უბედურება-დაღუპვის ცეკვა: *«Стало Горюшко по кабаку поскакивати, // Поскакивает, а поплясывает»* [Горе 1984: 49].

ბელორუსიულ ზაფხულის მზედგომის სადღესასწაულო სიმღერაში სიკვდილს უძვებენ სხვა სამყაროში, ამავდროულად მის წასვლას თან ახლავს მისივე ცეკვა: *«Смерти, Смерти, йди на лесы, // Йди на безвесть, йди за море! // И ты, Морозе, великий а лысый, // Не приходи до нас из своей коморы! // Смерть з Морозом танцювала, // Танцювала и спивала, // И за море десь погнала»* [Бессонов 1871: 53]. ტექსტი გასაოცრად ახლოა გამოსახულებასთან ცნობილ ლაფანზე, სადაც კუზიანი იაგა მიეცა ცეკვას: *«яга баба с мужикомъ с плешивымъ старикомъ скачють и пляшуть в волинку играютъ а ладу не знаютъ»*. ასევე ის არის ზამთრის წყვილი ბელორუსიულ გადმოცემებში, ასევე აშკარად დომინირებს: *«Калі часамі зіма не ўгодзіць марозу, так што ён абазлуе да й не схочэ хадзіць да зімы ў госці, та яна плачэ, аж халодныя слёзы цякуць»* [Сержпутовский 1911: № 127]. ყინვას, დიდებულს, და ამავდროულად თავმოტვლეპილს (лысый (не Велес ли?)), აქვს ყველაზე უშუალო კავშირი

სიკვდილთან: დაწყებული ყურით გასაგები ფუძიდან *mor - და ყინვის (მოროზის) ზღაპრებში მონაწილეობით იაგას მაგივრად, სადაც ის ასევე, როგორც იაგა, აჯილდოვებს ერთ გოგოს და კლავს მეორეს, და ასრულებს მისკენ მიმართვით, როდესაც ფანჯარაზე დებდნენ კოვზ ფაფას: სმოლ. «*Мороз, мороз! На тебе каши, да не бей наши яечки, картошки, просо! А убей бабу старую, какая жизнь ня хочет!*» [Пашина 1998: 187]. .

უკრაინულ ზღაპარში ცეკვა წმინდა ქალღმერთთან და მისი შეგულიანებით არის სიკვდილის მიზეზი: დაუდევარ ქალიშვილს ცხენის თავი(=იაგა) სთავაზობს მოქაჩოს თავშალს, მისი ყურიდან გამოშვერილს: «*Вона потягнула, а відтам повискакували чортик, взяли її в танець і розбринзили* (разорвали)» [Зинчук 2012: № 141].

ქალღმერთის ცეკვათა გამოსახვას ცდილობდნენ მატერიალურადაც: „*ბ.ლიხვინსკის სოფ. ზელენოში ორ ჩალის თოჯინას (ახალგაზრდა ქალსა და კაცს) ამაგრებენ ქობის სახურავზე; მათ ისეთ პოზაში ათავსებენ, თითქოს ცეკვავენ, გაშლილ ხელებში აძლევენ თავსაბურავს*” [Шереметева 1936: 106]. მარტო ასეთ შემთხვევებში ხვდები, რატომ ჭირდება სიკვდილის მისთვის შესაბამისი დრო, ამგვარი *ježibabel* или *Mařák, Smrt'ák...* და ხომ არ არის ის განთქმული ყინვა(Мороз) - რადგან ყველიერის დროს ყინვებისას ხანდახან ატარებს სახელს „მოხუცი კაცი” [НП 1997: № 329], *Dedo, Dedko* [Václavík 1959: 185]?

ლატვიურ „დაინებში” არის მკვდართა დედის გააფთრებული ცეკვის მაგალითები: «*Veļa mate priecājās, // Kapu virus dancodama: // Dan dēliņu arājiņu, // Gan meitiņu malējiņu*» – «*Мать усопших радовалась, // Пляша поверх могилы: // Довольно (у нее) сынков-пахорьков, // Довольно дочек-мукомолочек!*» [Топоров 1986: 57], а также: «*Lietņš lij, saule spīd: // Veļa māte kāzas dzēra. // Veļu bērni dancodami // Dzelzes kupres porlēsuši*» – «*Дождик идет, солнце светит: // Мать усопших играет свадьбу. // Дети усопших душ, танцуют, // Железные башмаки истрепали*» [Невская 1989: 73], იმავდროულად, რომ ხალხში ამბობენ „ბრმა წვიმა” («слепой дождь»), ის ასოციირდება ჩვენი თემისთვის მეტად დამახასიათებელ პერსონაჟებთან: ბლრ. *Божая*

маці плача, матушка Боская через слезы смяецца, ლტშ. *Dievs žēlo mūsu katro brīd*, რუს. *царевна плачет, ведьма плачет*, პოლ. *królowa płacze*, ლიტ. *jei saulei šviečiant lyja, dangaus aniolai verkia* [Невская 1989: 78].

შაკტიტური ტექსტები ამ ცეკვას თვლიან ქალღმერთის დახასიათების განუყოფელ ნაწილად, ადიდებენ მას: „გახარებული, ცეკვავდა ბხარდაკალი სიკვდილით დასჯის ადგილას” (Чондимонгол 2.273), „მოცეკვავე, კისკისა და გახარებულად მომღერალი” [ДБП. XI.20.38], „დიადი ტანდავას [ცეკვით] მტკობელი” [ДБП. X.12.40].

მაღალი წრის, შუასაუკუნოვანი ევროპის რელიგიურ და ხალხურ კულტურებში „სიკვდილის ცეკვის” სიუჟეტი იკავებდა საკმაოდ დიდ ადგილს, ტაძრების ფასადებზე, ფერწერულ ტილოებსა და წიგნის გვერდებზე მოხვედრით უბრალო ხალხისთვის (იხ. ნახ. 15,16).

სიკვდილი გარდაუვლად რთავს თავის გაშმაგებულ და უსასრულო ფერხულში ყველა ადამიანს, მათი სქესის, ასაკის, წარმოშობის მიუხედავად - ყოველთვის და ისევ სამართლიანად გათანაბრებით.

ადამიანები, სიცოცხლის დროს ცრულ გაყოფილი ერთმანეთისგან მოგონილი წესებით ჯიშის მიხედვით, სიკვდილში თავისუფლდებიან პირობითობის საბურავისგან, ერთიანდებიან ექსტაზურ, უგუნურ ცეკვაში.

სიუჟეტის სათავეებია - ასევე ნადიმში ჭირის დროს, ჟამთა სიავის დროს, როდესაც ვერაფერში ვერ იპოვიდი საყრდენს, როდესაც არ იყო ხვალინდელი დღის დადგომის რწმენა. ერთადერთი, რაც რჩებოდა ადამიანს, იყო მშვიდად გართობა, ნადიმსა და ცეკვაში სიცოცხლის დარჩენილი მომენტების გაფლანგვით.

ასეთ ბნელ ჟამს ხალხის მასაში აღმდგარი იყო წინარე მისტერიების უმფოთველი ექსტაზი, სიცოცხლის საკარნავალო სახე, როდესაც არის მხოლოდ „აქ” და „ახლა”, და არანაირ „მერე”-ზე არავინ არ ფიქრობს. ხალხი იხსენებდა, თუ როგორ შეწყვიტო ყოფნა, დღესასწაულის უსაზღვრო ოკეანესთან შერწყმულს, მისით შთანთქმულს.

„ღვთისმხარურება“ (სასულიერო ქმედება) ისევ გახდა უეცრად აალებული „მისტიციზმის მასებისთვის“ მამოძრავებელი ძალა. ხალხი განიცდიდა განმწმენდ მომენტებს სოციალური არსებიდან რაღაც უფრო დაუბრკოლებელ, თავისუფალში გარდასახვით, რომელიც არ იყო შეზღუდული. ხალხი სვამდა, მღეროდა, იწვოდა ექსტაზში, რადგან სიცოცხლემ დაკარგა მნიშვნელობა. დარჩა მხოლოდ ის, ვინც ართმევს სიცოცხლეს, თან მიჰყავს, აგრძელებს გართობას უკვე ზღურბლს მიღმა. და ხალხი ცეკვავდა: ყველგან, წაქცევამდე, სიცვდილამდე, და სიკვდილი ცეკვავდა მათთან ერთად, უხილავი, მაგრამ ის, ვისი შეგრძნობაც შესაძლებელია.

თავი 2

სიკვდილის ატრიბუტიკა

2.1 ცელი - სიკვდილის მთავარი იარაღი

სიკვდილის ატრიბუტიკის ანალიზი ჩვენი კვლევისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ის შეიძლება შევუსაბამოთ სიკვდილის ძირითად ნიშნებს, რომლის დახმარებით მარტივია მისი იდენტიფიცირება იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ის (სიკვდილი) პირდაპირ არ არის დასახელებული, რაც შედეგად არაერთხელ შეგვხვდება სიკვდილის იმ სახეთა ანალიზისას, რომელსაც ჩვენ ვხვდებით პოეტი სიმბოლისტების ტექსტებში.

მოცემულ თავში ჩვენ ვაპირებთ დაწვრილებით გავარჩიოთ მნიშვნელოვანი ჩვენი კვლევისთვის სიკვდილის ატრიბუტები, რომელთაგანაც პარალელებს გავავლებთ პოეტი სიმბოლისტების ტექსტის გაანალიზებისას.

სიკვდილის ატრიბუტიკა შეიძლება დავყოთ რამდენიმე პირობით ჯგუფად ქვეჯგუფებით, მისი გამოყენების შესაბამისად. ამავდროულად იგულისხმება, რომ სხვადასხვა ტექსტში ერთი და იგივე ატრიბუტი ქალღმერთმა შესაძლოა გამოიყენოს სხვადასხვაგვარად, და მისი შეფასება მოგვიწევდა როგორც, მაგალითად, სიკვდილის იარაღი, ან როგორც საწამებელი მოწყობილობა.

სიკვდილის ნებისმიერი იარაღი შესაძლოა ამავდროულად ჩავთვალოთ ნივთიად, რომელსაც აქვს სიმბოლური მნიშვნელობა. და ბოლოს, საწამებელი იარაღი მარტივად ხდება სიკვდილის იარაღი, და პირიქით, და შესაბამისად, საზღვარი მათ შორის ბუნდოვანია.

აბსტრაქტულად არის აღწერილი „ნირიტი-სიკვდილის“ იარაღების ერთობლიობა, საიდანაც ნათელი ხდება, რომ ის ბევრია, და განსხვავებული: *«Ступай*

же в мои чертоги и изучай, о бхарата, любое оружие – (оружие) Ваю, Агни /.../ Вишну и Ниррити» (სიტყვასიტყვით: წადი ჩემს სასახლეში და შეისწავლე, ო ბხარატა, ნებისმიერი იარაღი - (იარაღი) ვაიუ, აგნი /.../ვიშნუ და ნირიტი» [Махабхарата: III.164.28-30]. მთელი ამ არსენალით სიკვდილი „სჯის განსხვავებულად ადამიანის ნგრევიდან დამოკიდებულად” [Дмитриева 1964: 172].

სიკვდილის იარაღი: მეომრის აღჭურვილობა (ხმალი(ქარქაში), მშვილდი და ისარი (თოფი,შუბი), ყოფითი ნივთები (მახათი, ნემსი, დანა, ცელი, ნამგალი, ურო, ფიწალი, თოხი, ქვა, პალო (შუბი, ოროლა), შხამი (სითხე და „სპორები“), მაგიური მოწყობილობები (თავშალი, ხელჯობი).

საწამებელი იარაღები (დასჯის): მარწუხი, „ხვრინვა“, „ხვრინვა“, ნაღველი, თითისტარი, ბურავი, მაკრატელი, წკეპლა.

საყასაბო ხელსაწყოები (ან სიკვდილი ანაწევრებს ტანს): ხერხი, ნამგალი, დანა, სამართებელი.

დამკრძალავი ხელსაწყოები: ყველაფერი ის, რითაც შეიძლება საფლავის გამოთხრა და შემდეგ მისი მოწესრიგება (ნიჩაბი, თოხი, ფოცხი, ცოცხი),არშინი.

ნივთები, რომელთაც აქვს სიმბოლური მნიშვნელობა: საათი, წკეპლა, ბედის წიგნი, სანთლები, ცოცხი, მკვდარი თავი, თვალეები, გასაღები, კვანძები ძვლებით, კეტი, ჯაჭვები.

დამხმარე ნივთები: ძელაკი, ხელჯობი, ფილთაქვა, ქარცახი, ჩამჩა, პურის ნიჩაბი.

თავის საკმაოდ დიდსა და წონით მძიმე ხარახურაა(თუმცა მთელი არა) იმ შემთხვევაში, როდესაც საქმე არ ეხება მხოლოდ ცელს, სიკვდილს მოაქვს ერთბაშად, ჩაწყობილი ერთ სათავსოში.

სიკვდილის ატრიბუტიკის ანალიზს ჩვენ ვიწყებთ მეტად მნიშვნელოვანი, ჩვენი აზრით, სიკვდილის ქალღმერთის ატრიბუტდან - ცელიდან.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სიკვდილის განუყოფელი იარაღი, ჩვენი აზრით, არის ცელი - მოწყობილობა, რომელიც ერთი შეხედვით მხოლოდ ბალახის მოთიბვისთვის არის აუცილებელი, მაგრამ, როგორც ვხედავთ, ის ემსახურება ქალღმერთს სულ სხვა მიზნებისთვის.

სიმბოლიზმი აშკარაა: სიკვდილი - მთიბველი ველზე, მისთვის ჩვენ ყველა ვართ ყანა ან ბალახი, მოთიბული და კვლავ გაზრდილი, ბალახი, რომელიც თავის დროზე უნდა მოშორდეს, მიწის გასათავისუფლებლად: უკრ. *«Так йак сьи розлощу, то так буду косов косила людий, йак косар сьіно косит»* [Гнатюк 1902: Т. 2, № 234], სასულიერო ხასიათის ლექსში ჟღერს: *«О нещастна смерте! Що ти наробила? // Що єсть пожала тай покосила // Квіточок білий, єще недозрілий»* [Гузій 2007: 139], „მოთხრობებში სიცოცხლისა და სიკვდილის კამათის შესახებ” სიკვდილის ანტოგონისტი თხოვს რომ მას თავი გაანებონ: *«И ты, злий и страшный косец, коси твой плод, а от мене отврати твой гнев»* [Дмитриева 1964: 143], როდესაც არის ჭირი, „სიკვდილს /.../უხარია მდიდარი მკა” [Wosiek 2000: 33], ძველ ჩეხურ ხელნაწერში უცნობ ავტორს მოჰყავს იგივე ანალოგია, და პასუხობს კითხვას: *«Proč smrt maluju s kosou? Poněvadž všecko telo lidské jest jako tráva»* – „რატომ გამოსახვენ სიკვდილს ცელით, იმიტომ რომ ადამიანის ტანი არის როგორც ბალახი” [Zíbrt 1899: 139]. შევადართო ჩეხური ანდაზა: *«Smrt' všecky v jeden сноpek váže»* – „სიკვდილი ყველას ერთ კონაში კრავს” [Čelakovský 1852: 311] და სიზმრების განმარტება: ბლრ. *«Траву скошаную, у пакосах бачыць – на смерць»* [Василевич 1996: № 2578], პოლ. *«A koszenie to też mówimy, że coś oznacza z powodu śmierci»* [Niebrzegowska 2000: 174].

ცელით შეიარაღებული სიკვდილი არის სახე, ცნობილი მთელი სლავური სამყაროსთვის: *«Смерть – така баба стара, сама как скелет, и с косою такой»* (სიტყვასიტყვით: სიკვდილი - ისეთი ბებერი ქალია, თვითონ როგორც ჩონჩხი, და ასეთი ცელით”) [Виноградова 2001: 16], სასულიერო ხასიათის ლექსებში: *«Восстань, восстань, в себя приди, // Смотри – Смерть с косою стоит позади»* (ТКМК, С. 357), უკრ. *«Бо смерть на тя притече // З косою, з косою»* [Гузій 2007: 138], *«Ото, – каже, – як прийшла вже ми година вмирати, то смерть и стала с косою в мене в ногах»* [Кулиш

1853: T. 1, 305], ხალხი აღუწერს სიკვდილს მამაც დევგმირს: «з косою й боса» [Зинчук 2006: № 93].

უკრაინულ თოჯინების თეატრში სიკვდილი, რომელიც ემუქრება იროდს, ამბობს: «Не такі герої були як ти, а смерть своєю гострою косою усім раду дала» [Сорокина 2011: 16], ლემკები «powidaly, że smert z kosom», „სიკვდილი მოდის მიცლავებულთან ადამიანის ჩონჩხის სახით, ცელით ხელში, რომლითაც აკვდინებს” [Чубинский 1877: T. 1, 219], ზღრ. «Смерць с касою, страшна, без цела, тыло косци» [Federowski 1897: T. 1, № 365], «Мужык конаў и бачыць: «Вут вуна и прыйшла и стоить с косою»» [Седакова 1983: 260].

ხალხურ სიზმრების აღწერაში : «Смерць з касой – небяспека» [Василевич 1996: № 1620], ლუჟიჩანები წარმოიდგენდნენ სიკვდილს, როგორც ყველაფერს შემდეგი სახით: «koscowca z kosu» [Černý 1893-1898: 212], ჩეხ. «Smrt' má kosu, a ne sekeru» [Čelakovský 1852: 312], ხორვატიულ სამგლოვიარო სიმღერაში ჟღერს: «Smrt, koja je po svem svitu, ona nosi kosu britku» – „სიკვდილი, რომელიც (დადის) მთელს დედამიწაზე, დააქვს ბასრი ცელი” [Lukić 1924: 344], პრეკმურიის სლოვენების თქმით, სიკვდილს „აქვს დიდი ქალის სახე, ჩაცმულის თეთრებში. ხანდახან მას დააქვს ცელი მხარზე” [Kelemina 1930: 260], კაშუმბის ანდაზა ამბობს: «Časem sóm χori čěje, jak směrc kosą klepě» – „ხანდახან ავადმყოფს ესმის, როგორ აკაკუნებს სიკვდილი ცელით” [Sychta 1967-1976: T. 5, 110].

გადაცმულებს შეყავდათ თავიანთ დადგმებში სიკვდილის ეს ცნობადი ატრიბუტი, რომლის აღმოჩენისას, ყველაზე მოუსაზრებელი მონაწილეც კი უნდა მიხვედრილიყო, ვინ ესტუმრა მათ ქოხში. გადაცმულები ან იყენებენ ნამდვილ ცელს, ან, უსაფრთხოებისთვის, მის იმიტაციას, მაკეტს.

სლოვენიაში (კნეჟი, გრებინიე) ნიკოლოზობას სხვა გადაცმულთა შორის დადიოდა სიკვდილიც: „სიკვდილს სულ თეთრებში, უჭირავს მარცხენა ხელში დიდი ხის ცელი, რომელზეც დაკიდებულია ხის დაფა ციფრებით, რომელიც წარმოადგენს სიცოცხლის ვადას” [Möderndorfer 1948: 28-29], ჩეხეთშიც ანალოგიურად: «Mimo to provázela jej smrt, s kosou v bíle oblečená» [Bartoš 1883: T. 1, 111], «Antropomorfní maskou

byla «smrt» nebo «smrtička», která obvykle nosila dřevěnou kosu» [Tomeš 1968: 166], „ლედისკაში სამხრეთ ვალაშკაში სიკვდილი დადის /.../ ხის „მოხდენილად“ მოვერცხლილი ძვლით” [Buzek 1974: 161], როვნენსკის ოლქ.: «Смэртъ в белому и с косою. Коса дэрэвянна. Як побэжыть за дэтьми, оны ўси падають», «Ў их смэртъ була в билому с косою», «Смэртъ с косою, червоный крэстик на шапке» [Ивлева 2004: 88, 90, 91].

ლემკებთან სიკვდილი დადიოდა გადაცმულებთან ერთად: «*kosu mała, na biło ubrana, chłop na biło ubrany y z kosom*», «*Nosyt różni, i kosu i toto, i sokyru nosyt. Ale perelažno z kosom smert, [...] tom kosom zaberat żytia*» [Graban-Butryn] და ასეთივე გადაცმული სიკვდილი ლემკებთან მოდიოდა სახლში, სადაც იწვა მიცვალებული: «*Do chałupy w której leżał zmarły przychodziło dwóch chłopców przebranych za śmierć, jeden z kosą i sierpem, drugi z grabiami*» [Graban-Butryn].

პოლონეთში ზამთრის დღესასწაულებზე (როგორც წესი „სამ მეფეზე“ იდგმებოდა პატარა დადგმა მეფე ჰეროდის (Heród) შესახებ, რომელსაც ბოლოს და ბოლოს დასჯის სიკვდილი. გამოსახავდნენ მას ტრადიციულად: «*odziana białą płachtą, trzymająca kosę z drzewa*» [Dónaj 1925: 88], „შობა-ახალ წელის უკრაინელების წესებში-თეატრალურ მოქმედებებში (ვერტეპებში) თეთრად გადაცმული ძალიან გამხდარი და დიდკბილა სიკვდილის განუყოფელი ატრიბუტი არის ბუტაფორიული ცელი “ [Гузий 2007: 139].

სიკვდილის პირდაპირი სახელით წოდების ასარიდებლად (აქ შესაძლოა ბრჭყალები), სვალეზმა გამოიყენეს ევფემიზმი, რომელიც მიუთითებდა საზოგადოებრივ ფაქტზე - მას ყოველთვის დააქვს ერთი და იგივე ატრიბუტი:კაშუბ. *ta z ty kosy* [Sychta 1967-1976: T. 7, 129], პოლ. *ta z kosą* «та, с косою» [Profantová 1998: 112], ჩეხ. *kosatá* „ცელით“ [Navrátilová 2004: 172], *ta s kosou (nepotkala ste tó s kosó?)* „ის,ცელით (ხომ არ შეგხვედრია ის,ცელით?)“ [Navrátilová 2004: 178], *zubatá s kosou* [Zíbrt 1914: 141], უკრ. *прийде то та с косоу* [Пискач 2009: 84], სლოვაკ. *ta s kosou*, болг. *оная с косата* [СД 1995-2012: T. 5, 63]. В «მოთხრობებში სიცოცხლისა და სიკვდილის კამათის შესახებ» სიკვდილის ანტოგონისტი უწოდებს მას : «*ты смерть – кривая коса*»

(სიტყვასიტყვით: „შენ სიკვდილო - მოღუნულო ცელო“) [Дмитриева 1964: 187]. მოახლოებულ აღსასრულს აღწერდნენ ასევე ხატოვნად, სიკვდილის იარაღების სხვადასხვაგვარად აღწერით: «*Же страшная смерть на мя косу закладает*» [Варенцов 1860: 206], კაშუბ. «*Na mé ju sněrc kosą klepé*» [Sychta 1967-1976: Т. 1, 316].

ცელით, რაც საკმაოდ საინტერესოა, აღჭურვილია იაგა: «*А у ней в руках коса кривая, и хочет ею взять богатыря за шею и срезать ему голову*» [Афанасьев 1957: № 310]. ამ უჩვეულო ხერხს, ჩვენ დავინახავთ შემდგომ, როგორც წესი იყენებს სიკვდილი, ნამგალით მუშაობისას - იარაღის მოხრილი ფორმა საშუალებას იძლევა მისით, როგორც კაუჭით მოქმედების.

უკრაინულ ზღაპარში იაგას ადგილას ჩნდება «*жінка з косов, з граблями, з серпом, з віником*», რომელიც თხოვს ქალიშვილს დაბანოს მას თავი [Ракова 1912: 347] – თხოვნის შემსრულებელ ქალიშვილს ის აჯილდოვებს, არადამჯერს კი ღუპავს. პოლუდნიცა-ოპალიხა, ნათესებში მობინადრე, აღწერილია როგორც „*ალქაჯი /.../ გრძელი ცელით, თუჯის ტაფით*” [ПЛУ 1991: 272].

ცელი არის ერთ-ერთი იმ მცირე რაოდენობის ატრიბუტთაგან, რომელიც იმსახურებს რაიმე ეპითეტს, მათი ხარისხისა და გარეგნული სახის აღმწერელს. ერთადერთხელ აღნიშნულია მასალა, რომლიდანაც დამზადებულია ცელის პირი - დადგმაში ჰეროდთან სიკვდილი შესძახებს: პოლ. «*Jam śmierć jasnokoscista, tam kosę stalową (აქვს ფოლადის ცელი), którą tu już trzumam nad twoją głową*» [Oczykowski 1893: 523]. სიკვდილს მოაქვს «*ცელი ლამაზი და ბასრი*» [Гринченко 1901: 415].

„სიტყვაში წმინდა აბრაამის შესახებ” „უნგვარის ხელნაწერიდან” (XVIII ს.) სიკვდილი აღჭურვილია „*მოგრეხილი, ბასრი ცელით*” [Гузий 2007: 135], სიკვდილი რაინდს თავის არსენალს უთვლის: «*а в мене есть на тебе моя зброя: кривая коса, острый меч...*» [Гнатюк 2000: 195].

სიკვდილთან მეზობლი მოყმე, საკუთარ თავში დარწმუნებით, აუწყებს მას და სასულიერო ხასიათის ლექსის მსმენელებს «*Аз я тебя не боюсь, // И кривыя твоя косы // И оружия твоего // Не страшусь*» [Киреевский 1862: 136], მას ეკითხებიან: «*Что есть*

სია *снасть криваа, юже ты влечиши по росе?*» [Дмитриева 1964: 141], უკრაინული ანდაზის თანახმად: «*Смерть мае остро косу*» [Михайлецький 1912: 303], ანუ ამ იარაღისგან დაცვა არ არსებობს, ის ღუპავს ყველაფერს, რაზეც იწევა.

იმისთვის, რომ ცელი იყოს მუდამ საბრძოლო სამზადისში, სიკვდილი ლესავს მას თვალისმომჭრელ ბრწყინვამდე და უკიდურეს სიბასრემდე: პოლონურ თქმულებაში სიკვდილი „*იყო გახვეული ბინძურ საბურავში, ხელში კი ეჭირა გაღესილი ცელი, ისეთი რომ ბრწყინავდეს*» [Mátyás 1894: 98]. ეს მომენტი თამაშდება გადაცმულების მიერ: ჩეხური „ლუცკა“ „*მანიპულირებდა იმ ნივთებით, რომელიც მოჰქონდა: /.../ თლიდა ნამგალს ან ცელს და ამით /.../ აშინებდა ბავშვებს, რომ მოკვეთდა მათ თავს*» [LK 2007: 516].

პოლონელი ხალხის მეფე ჰეროდის შესახებ სახალხო თეატრის ამავე სცენაში, გადაცმული-სიკვდილი დადგმის ბოლოს ახსენებს მაყურებლებს, რომ მსახიობები უნდა დაჯილდოვდნენ, და ამოტივრებს იმით, რომ მისი ცელი გაუღესავია 200 წელი. პოლ: «*Prosze państwa o kopijke na osetke, bo moja kosa już dwadzieścia lot nie brzuszone*» [Ziembra 1888: 334].

სიკვდილი ცელს იყენებს ძირითადად რამდენიმე ტიპურ სიტუაციაში: ის უბრალოდ „ცელავს“ ადამიანის სიცოცხლეს, და მისი საქმე აქ არის მოცელვა სუფთა სახით: უკრ. «*(я всех) заровне косою своею кошу*» [Гринченко 1901: 420], «*коса моя по всем ходит. Где бог велит, ту и возму и покошу всех*» [Дмитриева 1964: 188].

სასულიერო ხასიათის ლექსში სიკვდილი პირდაპირ ეუბნება ამას ანიკს: «*Где кого застану, искошаю: // В пути, в дороге застану – искошаю, // В избе, на подворье застану – искошаю. // Хочу и тебя, Аника, искосити*» [Киреевский 1862: 121], «*Ци уж пожала, ци покосила*», ეუბნებიან მას უკრაინულ სასულიერო ხასიათის ლექსში [Гузий 2007: 139], პოლუდნიცას შესახებ ამბობდნენ, რომ «*она как человек, с косою ходила и всех, кто стоит, косила /.../ кто стоит, того насмерть закосит, засекает*» (სიტყვასიტყვით: ის როგორც ადამიანი, ცელით დადიოდა და ყველსა, ვინც დგას, მას სასიკვდილოდ ცელავს) [Черепанова 1996: № 230]. და უფრო ექსპრესულად: ბლრ.

«Гдзе ж я прабываю, // Ва ўсякай стране // Усе цары і князі // Пад уласцю маёй, // Я **вырублю косою своёй!**» [НарТ 2004: 301].

ან, მისი ყველა სხვა ინსტრუმენტის წინ გამოყენებით, მოცელავს ფეხებს, რისგანაც ადამიანი ვარდება ადგილზე არც ცოცხალი და არც მკვდარი, ან მომაკვდავი გრძნობს, რომ მას წაერთვა ქვედა კიდურები: «*Она же, смерть, приступив к нему, подсече ему ноги косою*» («Прение животу с смертию»), უკრ. «*Косою ти підотну ноги*», აუწყებს სიკვდილი რაინდს მისი შემდგომი ქმედების თანმიმდევრულობის შესახებ მათი საუბრის ბოლოს [Гнатюк 2000: 195], [Гузий 2007: 135], «*Невидимо к нему // Смерть подкралася, // Косой ноги ему подкосила*» [Киреевский 1862: 117], «*Вот идет Смерть и с косой. Ножки подкосит тебе, там тебе подкосит, головку подкосит*», «*С косой Смерть бывает. Косит, что ля? Наверно, косит, что отымаются жа, обмертвляют и руки и ноги*» [Арсланова 2010: 159], ტიხვენსკის მაზრის გლეხთა მონათხრობის მიხედვით სიკვდილი ცელით „*ცელავს დანიშნული მსხვერპლის ფეხებს*” [Тенишев: Т. 7, Ч. 4, 270], «*И приступи смерть с кривою своею косою и подкоси его*» [Дмитриева 1964: 191].

ან, ბოლოს, კვეთს მას თავს: «*а потом косой голову снесет*» [Виноградов 2009: 81], უკრ. «*А косов дальій і тобі голову зітну*» [Гнатюк 1902: Т. 2, № 234], სასულიერო ხასიათის ლექსებში იმის შესახებ, რომ: «*Смерть не зрит маво прощенья, хочет голову срубить*» [ТКМК 2008: 356], რუსინები წარმოიდგენენ სიკვდილს დედაბერად, რომელსაც გამხდარ ხელებში უჭირავს «*kosę (do ścinania głowy)*» [Biegeleisen 1930: 3].

ნადრაბის მხარის მაცხოვრებლები ამბობენ, რომ სიკვდილი კვეთს ცელით ადამიანების სიცოცხლეს, შესაბამისად: „*კვეთს ადამიანს თავს*” [Świątek 1893: 452], „*ეს არის შეშველი ჩონჩხი, თეთრი, მარტო ძვლები, ხელში უჭირავს ცელი, რომლითაც იღებს როგორ ბატონების ასევე ყმის თავებს*” [Kolberg 1884: 90].

დადგმაში მეფე ჰეროდის შესახებ, რომელიც სრულდება პოლონელებთან კოლიადაზე, სიკვდილი ეუბნება მას: «*Ostatnie słowo powiadam, // I na szyje kosu zakładam*» [Lubelszczyzna 1986: 225].

ბულგარელების წარმოდგენებით, ჭირს „დაჰქონდა ცელი, რომლითაც კვეთდა თავებს“ [Зечевић 1981: 98].

ნორვეგიული თქმულებების თანახმად, მნიშვნელობა ჰქონდა იმასაც, თუ როგორ მუშაობს ჭირი ცელით: თუ ის ცელავდა, კვდებოდა ყველა, თუ კვეთდა დარტყმით ზევიდან - ზოგი გადარჩებოდა [Heide 1971: 141].

სიკვდილის დამლუპველ ცელს მოაქვს თავისი საშინელი პირით: სიკვდილი „სიკვდილი მოდის ავადმყოფთან ჩვეულებრივ ცელით, რომლიც წვერზე ყოველთვის კიდია სიკვდილის წვეთი. მოსული ავადმყოფთან, ის დგება მის თავზე, და როდესაც ავადმყოფი ალებს პირს, მასში ეცემა ცელიდან სიკვდილის წვეთი, რომლისგანაც ის კვდება“ [Булгаковский 1890: 190]

ხალხურ თხზულებათაგან ერთ-ერთში ადამიანის დალუპვას იწვევს არათუ ცელი, არამედ მასთან მხოლოდ წამიერი კონტაქტი: *«увидели на мосту стоит кто-то: ростом метра два, в одежде черной /.../ а говорят, что ещё и косу видели. Завизжали девки, побежали, а одна-то под самой косой пробежала. Прибежали в свою деревню, по утра рассказали, что с ними случилось, а бабушка той девушки, что под косой пробежала, сказала, что это за ней смертушка пришла. И померла через несколько ден»* (სიტყვასიტყვით: დაინახეს, ხიდზე დგას ვიღაც ორმეტრიანი, შავ ტანსაცმელში. ამბობენ, რომ ცელიც დაინახეს. აკივლდნენ გომბიოები, გაიქცნენ, ერთმა კი ცელის ქვეში გაირბინა. გაიქცნენ თავის სოფელში, დილით მოყვნენ რა გადახდათ თავს. იმ გოგოს ბებიამ კი, ვინც ცელის ქვეში გაირბინა, თქვა, რომ მასთან სიკვდილი მოვიდა. და გარდაიცვალა რამდენიმე დღეში” [Чухина 2008].

ცელის დარტყმა - მარტივი სიკვდილი, რომელსაც სიკვდილის მფლობელი ჩუქნის ამის დამსახურებულს. სწრაფი და შეუმჩნეველი გადასხვა სამყაროდან სამყაროში - არ არის ყველას პრეროგატივა. ამავედროულად, ბევრს თავისი იარაღიდან მარენა იყენებს იმისთვის, რომ გახადოს სიკვდილი რაც შეიძლება მტანჯველი, რითაც საშუალებას აძლევს ცოდვილებს გაიაზრონ სიცოცხლის ზღურბლზე, რა ელოდებათ შემდგომში: უკრ. *«Як чоловік легко вмирає, то від коси, як твердо, то від пили»* [Зубрицький 1912: 212].

ასევე: ზღრ. «*Перед смертью хворому заўжды бывае лягчэй. Гэта значыцца, смерць пашла па касу, каб латвей даканаць чалавека*» [Сержпутовский 1911: № 2066].

სიკვდილს აქვს ასევე თავისებური ზღაპრისთავი რომელიც თან ახლავს ფატალურ დარტყმას.

სახალხო თეატრის სცენაზე სიკვდილი ეუბნება მეფე მაქსიმილიანს: «*А вот тебе моя вострая коса*» (სიტყვასიტყვით : *აი შენ ჩემი ბასრი ცელი*), რის შემდეგაც არტყამს მას მის კისერზე [НТ 1991: 150].

ძალიან საინტერესო და იშვიათი დეტალია - სიკვდილისთვის განსხვავებული ცელების არსებობა, რომელსაც ის იყენებს მომაკვდავის სოციალური მდგომარეობის მიხედვით: „*ვალახურ ზღაპრებში /.../ მოდის ღარიბებთან რკინის, მდიდრებთან კი ვერცხლის, მეფეებთან კი - ოქროს ცელით*” [Navrátilová 2004: 173].

გარდა ამისა, სიკვდილს შეუძლია გამოიყენოს ცელი როგორც თავისებური ხელჯობი: «*Вдруг повстречалась с ним старуха, такая это худая да страшная, несет полную котомочку ножей да пил, да разных топориков, а косою подпирается*» [РСК 1947: № 33].

სიკვდილი ეუბნება თავის მსხვერპლს (მაგრამ ეს არის რეპლიკა მკითხველს) იმის შესახებ, რომ მისი მთავარი იარაღი ყოველთვის არის საბრძოლო მზადყოფნაში: «*Держу косу мою наострену /.../ и всегда готову ношу*» [Дмитриева 1964: 199].

ბევრი მკვლევარი მიიჩნევს, რომ სიკვდილის, როგორც ჩონჩხის შესახებ წარმოდგენები ჩამოყალიბდა გვიან, ქრისტიანული რელიგიური ლიტერატურის გავლენით (Гузий 2007: 133), რაც საკმაოდ საეჭვოა. ჩონჩხის შესახებ ჩვენ უკვე ვისაუბრეთ, დაგვრჩა ცელის ხსენება. ის, როგორც ქტონიკური ღვთაების ატრიბუტი, ცნობილი იყო ანტიკური ლიტერატურისთვის - გმირული კრონოსი და რომაელი სატურნი გამოსახული იყო შეიარაღებული ცელით ან ნამგლით.

ცელი მრავალსაუკუნოვანი ტრადიციის გამო, რომელიც აკავშირებს მას სიკვდილთან, აღიქმება სიკვდილის სიმბოლოდ, ცალკეც რომ იყოს გამოსახული,

დაახლოებით ისე, როგორც ქალა და ძვლები. ამის გარდა ის, როგორც სხვა იარაღის პირები ქალღმერთის არსენალიდან, აღნიშნავს მარენა-სიკვდილის სამ უმნიშვნელოვანეს მისტიურ ასპექტს:

- ყველა დაბრკოლების ნგრევა, რადგან მრისხანე ფორმაში მას შეუძლია გაანადგუროს ნებისმიერი რამ, გარემომცველი რეალობის ჩათვლით;

- ილუზიებისა და ცდუნებისგან თავის დაღწევა (ცივმა რკინამ უნდა გაფანტოს ჭირი, როგორც ნისლი);

- ცრუ მე-ს განადგურება (გამოსახულია მოკვეთილი თავის სახით).

2.2. ნამგალი, როგორც სიკვდილის ოდინდელი ატრიბუტი

ისტორიული სტანდარტებით, ცელმა შეაღწია სიკვდილის ატრიბუტიკაში არც ისე დიდი ხნის წინ - კარასუკულ კულტურაში (II ათასწლეული ჩ.წ.) უკვე გამოიყენებოდა სპილენძის ცელი. მაგრამ ნამგალი ბევრად უფრო ძველია - კაჟის ნამგალები, რქის და ხის ნამგალები კაჟის ჩადგმებით გაჩნდა ჯერ კიდევ ნეოლითულ ხანაში.

ექვგარეშეა, რომ ნამგალი სიკვდილის აღჭურვილობათა შორის არის დასაწყისიდან და ცელი არის არქაული იარაღის გაგრძელება, თუმცა, ალბათ, უშუალოდ ნამგალს ის არ უკავშირდება.

ასე, სათანადოდ, სიკვდილი: ბლრ. *«Вона ўся ў красном, с сэрпом. Кагутъ, што жэншчына»* [ПОС 2008: 339], „სელეზიაში მოხუცები ყვებოდნენ, რომ სიკვდილი ჩნდება როგორც „თეთრი დედაკაცი“ (*bjola baba*) ცელით ან ნამგალით, იზრდებოდა ცამდე და წუთში ქრებოდა“ [Navrátilová 2004: 172], ჩეხეთში გადაცმულთა ერთ-ერთი ზამთრის ნიღაბი იყო ზუსტად სიკვდილი: „ხელით მოაქვს ცელი ან ნამგალი“ [Frolec 1988: 32].

ნამგალით დადიან სხვა მითიური პერსონაჟებიც, რომლებიც ასე თუ ისე უკავშირდება მარენას სახეს.

ხორვატიული ჭირი (Чума) ატარებს ხელში ნამგალს: *«Kuga je crna strašna ženetina, nosi srp u ruci»* [Ivanišević 1905: 268].

ნამგალს თან ატარებს უკრაინული ზღაპრის მითიური პერსონაჟი, სიუჟეტურად გაჩენილი იაგას ადგილას და რომელიც ყველა თვისებით არის სიკვდილი: *«прийшла жінка з косов, з граблями, з серпом, з віником»* [Ракова 1912: 347].

ბელორუსიულ თქმულებაში ნამგალით ხელში წარმოჩნდება მითიური პერსონაჟი, რომელიც აერთიანებს საკუთარ თავში პოლუდნიცას პერსონიფიცირებული ავადმყოფობისა და სულის თვისებებს: მკის დროს მინდორში

«*выйшла з лесу нейкая дзяўчына ўся ў белым і сама белая, як малако, ды прытым такі дужа прыгожая*», თან ჰქონდა **ნამგალი**, და მან დაიწყო უსიტყვოდ მკა; როდესაც ის წავიდა (საკმაოდ ნამუშევარი), ქოლერა შემცირდა. [ЛИП 2005: № 241].

ლუჟიჩანებისთვის პოლუდნიცა ცნობილია *Serpownica, Serp, Serpolnica, Serponica, Serpyšyja* [Bulat 1932: 23], *Serpowina, Serpja baba* სახელით [Гура 1989: 116]: „*მას ეცვა გრძელი თეთრი კაბა /.../ ხელში ჰქონდა დიდი ბასრი ნამგალი*” რომლითაც კვეთდა მათ, ვინც ყოვნდებოდა მინდორში [Černý 1893-1898: 441], „*დგას მის გვერდით პოლუდნიცა /.../ და ზურგს უკან უჭირავს ნამგალი*, რომ ქალიშვილს თავი მოკვეთოს” [Лужичане 1962: 109], ლუჟიც. «*Zubata Anna se póra, ta ma běly šant, serp*» – „*ეს არის დიდკბილა ანას დრი, მას აქვს თეთრი თავშალი, ნამგალი*” [Černý 1893-1898: 442], „*სხვადასხვა ლუჟიცურ მითიურ პერსონაჟებს აქვს ზოგი ქალთევზასთან საერთო ატრიბუტი: ნამგალი ხელში, იღლიაში, კალათაში ან მხარზე გადაგდებული გრძელი ჯოხი, მიკრული თავზე*» – სერპოვნიცას, პოლუდნიცას (და თეთრ ქალს) [Гура 1989: 120]. სერპოვნიცა - პოლუდნიცას შეესაბამება ჩეხური *Kosiřka* – ქალის ფიგურა თეთრში ცელით ხელში [Bulat 1932: 23].

გადაცმაში მოცემული იარაღი ასახულია ცელზე ნაკლებად: «*Наряжалася и смерть. Да, картошку в зубы, рубаху белую. Ай, бабы, бывало, рубашку наденут, и идет смерть с серпом. Серп в руке, босиком, ноги белые. В избу входить. Вот и ходить с серпом. Он косит так страшно!*»; «*Ну, смерть. Подходит смерть. Тоже в белом. Два сярпа у няво /.../ Два сярпа. Подходить и обнимает девок. А они боятся... Два сярпа, представляете /.../ Не в белом, ну вроде, простыни, застигнувши, простыни... Да, мушшина, ну, с етым, с сярпами. Ну, видишь, подходит – девушка-то боится... Он яе сярпами... он яе серпами тихонечко обнимет, обнимает*» [Лурье 1995: 37], «*Смерть ходила. Лампу потушить, а зубы тучка с картошки сделают – и глаза, и зубы. И тада с сярпом ходят, свечечку поставят в бумажку. А мы хуваемся, а иные сярпом вот так – через народ, – дескать, Смерть пришла*» [СМЭС 2003: 609].

კარპატულ (ლემკები) თამაშებში მიცვალებულის დროს სახლს, სადაც განისვენებს სხეული, სტუმრობდნენ გადაცმულები: *«Пришла баба із косов і серпом зо двору – то смерть была»* [Вархол 2002: 86].

როგორც მუდმივი ატრიბუტი, ნამგალი აღენიშნება ჩებ „მატიჩკას“ (Matička, mikuláška, mikulášova matička): *„მატიჩკა. შენიღბულია თეთრში ქალის ფიგურა ადვენტურ მსვლელოთაგან დაფარული ან ფქვილში ამოსმული სახით. დადიოდა წმ. მიკულაშის ხსენების დღის წინ, ნამგალით ხელში, როგორც ღვთისმშობელი ან სიკვდილი* [LK 2007: 544], მორავიაში წმ. მიკულაშის დღეს (6.XII.) სახლებში დადიოდა გადაცმული ფიგურა, რომელსაც ეძახდნენ *Smrt'* ან *Boží Matka* „ღვთისმშობელი“: *„თეთრში ჩაცმული, სახე ჰქონდა დაფარული ფქვილით, ნამგალით ხელში (se srpem v ruce), რომლითაც ამინებდა სახლის მაცხოვრებლებს, განსაკუთრებით ბავშვებს, რომ მოჰკვეთს მათ თავს (stínala)* [Bartoš 1883-1885: 8-9], *„ერთ ხელში უჭირავს არყისხის წვეკლა /.../ მეორეში მოაქვს კალათა საჩუქრებით. სხვა მიწებზე მატიჩკას ხელში ეჭირა ნამგალი* (ლიტოველსკში მას ასე ეძახდნენ *matička s serpem*). *ზოგიერთ მხარეს მას ჰქონდა სიკვდილის სახე ნამგალით ხელში”* [Frolec 1988: 34], *«Na Přerovsku nosila maska srp, na slováckém Podluží kopist»* [Tomeš 1968: 166].

ნამგალი - სიკვდილის ისეთივე ჩვეული ატრიბუტია, როგორც ცელი, რომელიც მის პირველად ფუნქციას შეესაბამება (მოიძკა ყანა = მოაკვდინო ხალხი), და ამ ინსტრუმენტებს შორის ხსენებული, საერთო სიიდან პირველ ადგილზეა და ცელის გვერდით.

ამის ტიპიური მაგალითის დანახვა შეიძლება „ბასილი ახალის ცხოვრებაში“ (XI-XII სს.): *«Оружиа всякаа нося и мечя, серпы, и пилы, и секиры, рожны и теслы, и ины многи пристроа, имже казнить различными образы на единого кождо смерть на всех».*

მარენასთან მყარი კავშირის დახმარებით, ნამგალი ხდება სიკვდილის მაუწყებელი ან სიკვდილის სიმბოლო, ისეთივე, როგორც თავის ქალა და ძვლები: *„ბოლო ზოლის მოძობის შემდეგ, როდესაც ოჯახი ემზადება უკვე სახლში*

წასასვლელად, მაშინ აგდებენ თავზე ნამგლებს, და ვისი ნამგალიც ჩაერჭობა მიწაში, ის მოკვდება, ვერ მოესწრება შემდეგ მკას» [Шустиков 1895: 124-125].

ბელორუსიაში იყო დადასტურებული საქელებო წესი, როდესაც მიცვალებული ქალებისთვის გარკვეული სახის ძეგლს დგამდნენ - „ნაწყობა“, ბილიკი ჭაობიან ადგილზე, თხრილსა ან ნაკადულზე. იდეა იყო ის, რომ ხალხი, რომელიც გადასასვლელს გამოიყენებდა, მიცვალებულის მადლობელი ყოფილიყო, ვის სახელზეც ის არის აღმართული, და ამით მოეხსენიებინათ ის. იმისთვის რომ ზუსტად მივუთითოთ ძეგლი-„ნაწყობის“ ხასიათზე, მას აღნიშნავდნენ: „ხეს (უმეტესად ფიჭვს) აგდებენ ტყეში, თლიან და მოაქვთ ურმით დანიშნულ ადგილას, აღნიშნავენ მასზე სიკვდილის დროს, თლიან ნამგალს ან - თუ მიცვალებული იყო ახალშობილი - ჩექმებს” [Крачковский 1874: 159].

ნამგალის გაღუნული ფორმა ტრადიციულად იხატება ფოლკლორულ ტექსტებში (გამოცანებად) როგორც თავისებური სხეულის ნაკლი - კუზიანობა, გაღუნულობა (რაც ახასიათებს ცელს) «*Криве, горбате, по ныви побигло, весь хлиб повалило*» [Иванов 1889: 64], «*Сутуленькой, горбатинькой, зубастой все поле избежал*» [Ефименко 1864: 26], «*Маленькой горбатенькой по полю бежит, все поле дрожит*» (Петропавловский, священник. Этнографические сведения о Янгозерском погосте, Повенецкого уезда. Архив РГО, фонд Олонецкой губернии, р. 25, оп. 1. № 34, л. 19), პოლ. «*Krzywy dziadek látáý popod z...*» [Udziela 1886: 64], «*Garbaty dziadek, całe pole obleciał*» [Gloger 1883: 137]. შევადართო ანალოგიური გამოცანა ცელის შესახებ უკრ. (გუცულ.) «*Маленька, кривенька, тай у все поле і шукурдала*» [Кайндль 2000: 134].

ასე ნამგალი ნახსენებია ტექსტებში, რომელიც ეძღვნება სიკვდილს, უკრ. «*а в мене єсть на тебе моя зброя: кривая коса /.../ кривий серп*» [Гнатюк 2000: 195]. ვერ ვიტყვით, რამდენად შესაძლებელია, რომ მეპატრონეს სახელი აისახოს იარაღის დასახელებაში, თუნდაც გამოცანის პრიზმიდან, მაგრამ გვაქვს შემდეგი ფაქტი - აბსტრაქტული სახელწოდება გამოცანებში სიკვდილის ძირითადი ინსტრუმენტის შეიცავს ფუმეს *mor-: ნამგალი - «*Птица Мамыра, ни хвоста, ни рыла*» [Митрофанова

1968: № 2107], ცელი (ცელავენ) – «Шука Мамыра все луга помыла» [Садовников 1995: № 1205].

მინიატურა „აპოკალიფსიდან“ (XVII ს.) აჩვენებს ნამგალს დიდკბილას და უზარმაზარს, რომელიც გვაგონებს მთვარის ნამგალს. მსგავს გიგანტიზმს მიზნად ჰქონდა ზეგავლენა მოეხდინა მკითხველის გრძნობებზე, შეეშინებინა ის გარდაუვალი შეხვედრით ამ იარაღთან, „თუ ადამიანი არ იტყვის უარს ცოდვილ ცხოვრებაზე“. უზარმაზარ ცელთან დაწყვილებისას, ასეთი ნამგალი გამოიყურებოდა, პრინციპში, შეზღუდულად, რადგან იყო სიკვდილის ხელის ტოლი, ვისი უშველებელი სიმაღლეც უკვე აღვწერეთ.

სიკვდილის იარაღის ნამგალა მთვარესთან მსგავსება შემთხვევითი არაა: სწერედ მისი სიმბოლოა მარენას მოღუნული ნამგალი, რაც აღნიშნავს ქალღმერთის კავშირს ღამის მნათობთან და დღე-ღამის ბნელი დრო, როდესაც ტარდება წესები მისთვის მიძღვნილი, ტარდება შავი ჯადოქრობა.

მედეა - ქურუმი ან გეკატას ქალიშვილიც კი, აღავლენს ზუსტად ასეთ ბნელ ჯადოქრობას - მთვარის დროს და ნამგალით ხელში.

თვით გეკატას განსაზღვრულად აკავშირებს მთვარესთან: *«Вижу Тривии (Тройной Гекаты, – А.К.) здесь проворных коней, // Не тех, что она, кругла и ясна, // Догоняет всю ночь, но тех, на каких, Опечалив лик, натянув повода, // На мучительный зов фессалийских чар // Приближалась к земле»* (სიტყვასიტყვით: *ვხედავ ტრივიებს(გეკატას სამმაგს- ა.კ.) აქ არის სწრაფი ცხენი//არა მათი, რომ ის მრგვალი და ცხადია//ეწევა მთელი ღამე, მაგრამი მათი, რომელზეც სახედამწუხრებულია, აბას სადავეს,//ფესალიის ჯადოქრობის მტანჯველ მოხმობაზე//უახლოვდებოდა მიწას*)(Сенека. «Медей». 787-792). „პირველი ვატიკანური მითოგრაფის“ ავტორი (II.11.7-9) უწოდებს პროზერპინას დიანად და წერს: „*მას ხომ ეძახიან ტრივიას, რადგან ის ისახება სამი სახით; მასზე ვერგილი ამბობს „სამი სახე აქვს ქალწულ დიანას“ იმიტომ რომ მას უწოდებენ მთვარეს, და დიანას, და პროზერპინას./.../ზერძნულად მისი სახელია - გეკატა*”

ნამგალა მთვარე არის კალის ხატწერაშიც - მას აჩვენებენ ქალღმერთის თმებში, როგორც არის დამახასიათებელი შივას გამოსახულებებისთვის. „კარპურადი-სტოტორა“ უწოდებს მას: „ის ვინ ატარებს ნამგალა მთვარეს“ (თარგმანის ვარ. „მთვარის თავზე მტარებელი“), კალის სხვა სახელი: „ქალღმერთი-ნახევარმთვარი-თ-გვირგვინში“ [Чондимонгол 2004: Т. 2., 257].

მკისტვის განკუთვნილი, ნამგალი გამოიყენება მარენას მიერ ამ სფეროში: უკრ. *«(я всех) заровне косою своею кошу и /.../ серпом пожинаю»* [Гринченко 1901: 420]. ცელისგან განსხვავებით, ის გამოიყენება არა თავის მისაკვეთად, მაგრამ კისრის გასაჭრელად: უკრ. *«серпом переріжу ти горло»* [Гнатюк 2000: 195], [Гузій 2007: 135].

მაგრამ შეიძლება გამოყენებული იყოს მარენას მიერ ასევე თავისებურად - როგორც კაუჭი, რომლითაც შეიძლება წაავლო მსხვერპლს კისერში: *«Смерть же, приступив к нему, подсече ему ноги косою, и вся серп, и захвати его за шею, и взя малый оскордец, и нача отсекаати нози ме, и потом руце мои»* [Дмитриева 1964: 167], *«подсече ему (Смерть) ноги косою, и возьм серп – и захвати его за шию»* [Афанасьев 1865-1869: Т. 3, С. 47].

იარაღი, რომელიც სწრაფად ბლაგვდება, სიკვდილმა უნდა პერიოდულად განაახლოს, რაც აისახება გადაცემულთა ქმედებებში, რომლებიც განასახიერებენ მის გადსვლას მიწაზე: *ჩებ. ლუცკა „ხელში უჭირავს /.../ ნამგალი ან ცელი და ძელაკი (კიიოვსკო) /.../ (ის) მანიპულირებდა საგნებით, რომელიც მოჰქონდა: /.../ ლესავდა ნამგალსა და ცელს და ამით (ისევე, როგორც კალათით ჩენჩოთი და მაკრატლით) აშინებდა ბავშვებს, რომ მოკვეთდა მათ თავს“* [LK 2007: 516].

თავისებური ნამგლისებრი ხმლით არის შეიარაღებული კალი. მძვინვარე ქალღმერთი მკის მით თავისი მტრის თავებს ბრძოლის ველზე. საკუთრივ, თავიდან ეს იყო ნამგალი, დროთა განმავლობაში საბრძოლო იარაღად გადაქცეული, და, მოგვიანებით, რიტუალურად. დღესაც მსგავს იარაღს შეიძლება უწოდონ „ბრინჯის ხმალი“.

